IOM UN MIGRATION | IOM DEVELOPMENT FUND

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების გზამკვლევი

2022

წინათქმა

საქართველო მაღალი მიგრაციული ინტენსივობის მქონე ქვეყანაა - დიდია როგორც ემიგრაციული, ისე იმიგრაციული ნაკადების მოცულობა და სულ უფრო ფართოვდება მიგრაციის გეოგრაფია.

ემიგრაცია საქართველოსთვის აქტუალური გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან გახდა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოსახლეობამ სხვადასხვა მიზეზით დაიწყო საზღვარგარეთ ინტენსიური გადინება. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა და პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ ემიგრაციასთან ერთად, სულ უფრო აქტუალური ხდება შრომითი ემიგრაცია. ემიგრაციის მასშტაბების ზრდის კვალობაზე იზრდება სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის საჭიროებაც.

2015 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების პროექტებს ახორციელებენ ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა საერთაშორისო და დონორი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიც. აღნიშნული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში არაერთმა დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღო სხვადასხვა სახის სარეინტეგრაციო დახმარება. ამასთან, კვლავ აქტუალურია მიგრანტთა მომსახურების გაუმჯობესების, მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველყოფისა და სარეინტეგრაციო დახმარების ეფექტიანობის გაზრდის საჭიროება.

სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის საჭიროებები მრავალფეროვანია და ხელშეწყობა სცილდება ერთი პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებს. მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად პირველ რიგში საჭიროა მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული სერვისებისა და პროგრამების შესახებ, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შესაბამისი საინფორმაციო გზამკვლევების არსებობას.

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) განვითარების ფონდისა (IDF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული პროექტის „მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება: პილოტური ინციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში“ ფარგლებში.

გზამკვლევში ასახულია ინფორმაცია 2022 წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

სარჩევი

ნაწილი 1. საქართველოში დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტები, პირადი დოკუმენტებისა და მოქალაქეობის სტატუსის აღდგენა 8

1.1. საქართველოში დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტები 9

1.2. პირადი დოკუმენტების განახლება/აღდგენა 10

1.3. საქართველოში შემოსვლის სასაზღვრო პროცედურები 13

1.4. საქართველოს მოქალაქეობა 15

1.5. ცნობა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ 17

1.6. ცნობა ნასამართლობის შესახებ 17

ნაწილი 2. საცხოვრისით უზრუნველყოფა 19

2.1. დევნილთა განსახლების სახელმწიფო პროგრამები 19

2.2. ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამები 21

2.3. საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასი საქართველოში 21

2.4. იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები 22

ნაწილი 3. ქონების რეგისტრაცია 26

3.1. უძრავი ქონების რეგისტრაცია 26

3.2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია 30

3.3. მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა 32

3.4. მოძრავი ქონების რეგისტრაცია 33

3.5. სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობა 35

ნაწილი 4. სამეწარმეო საქმიანობა 40

4.1. სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია 40

4.2. საგადასახადო სისტემა 43

4.2.1. საქართველოში მოქმედი გადასახადები 43

4.2.2. შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები 46

4.2.3. საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისა და მაღალმთიანი დასახლების საწარმოსთვის 48

4.2.4. გადასახადის გადამხდელების მომსახურება 50

ნაწილი 5: ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები/ პროექტები 52

5.1. არასასოფლო-სამეურნეო მიმართულება 52

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა 52

პროგრამა: საკრედიტო - საგარანტიო მექანიზმი 53

სესხის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამა 54

ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია 55

ტურისტული სერვისების ინდუსტრია 56

ეკო და აგრო ტურისტული ინდუსტრია 57

ბიზნეს უნივერსალი 58

ბიზნეს ექსპორტი 59

5.2. ექსპორტის მხარდაჭერა 60

საერთაშორისო გამოფენებზე დასწრების თანადაფინანსება 60

5.3. ინოვაციების მხარდაჭერა 61

მცირე საგრანტო პროგრამა(პროტოტიპირება) 61

თანადაფინანსების გრანტი სტარტაპებისთვის 62

ინოვაციური მეწარმეობის საგრანტო პროგრამა საპილოტე რეგიონებში 63

ინოვაციების თანადაფინანსების გრანტი 64

5.4. ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა 65

5.5. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდამჭერი პროგრამები 66

პროექტი: დანერგე მომავალი - ბალების კომპონენტი 66

პროექტი: დანერგე მომავალი - სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების

კომპონენტი 67

პროექტი: დანერგე მომავალი - კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი 68

პროექტი: დანერგე მომავალი - სანერგეების კომპონენტი 69

პროექტი: დანერგე მომავალი - ნერგების კომპონენტი 70

სასოფლო სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა 71

პროექტი: შეღავათიანი აგროკრედიტი 72

აგროდაზღვევის პროგრამა 73

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა 74

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა 75

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა 76

ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა 77

სოფლის განვითარების პროგრამა 78

USAID-ის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 79

პროექტი: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა (GRETA) 80

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) 81

პროექტი: გაზრდილი შემოსავლები სამხრეთ კავკასიაში კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალებით 82

5.6. ბიზნესის ტექნიკური დახმარების მიმართულება 83

პროექტი: ბიზნეს კლასტერები განვითარებისათვის 83

5.7. ინოვაციური პროექტი საქართველოში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისათვის 84

შესაფუთი მასალების კლასტერის განვითარების კომპონენტი 84

თესლის მწარმოებლების და სანერგე მეურნეობების კლასტერის განვითარების კომპონენტი 85

სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული კლასტერების განვითარების კომპონენტი 86

5.8. ბიზნეს ტრენინგები და კონსულტაციები, პროფესიული სწავლება..... 87

პროგრამა: ტურისტული ობიექტების, ინფოტურისა და ტურისტული სერვისების რეგისტრაცია 87

ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების ცოდნის და უნარების გაძლიერება 88

პროექტი: ღვინის გზა.....89

პროფესიული გადამზადებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემების დანერგვის პროექტი საქართველოს სოფლის მეურნეობაში 90

კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში.....91

ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის.....92

პროექტი: უნარები წარმატებისათვის.....93

პროექტი: სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისათვის.....94

პროექტი: უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისათვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისათვის.....95

ნაწილი 6. განათლების სისტემა.....96

6.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება..... 97

6.2. ზოგადი განათლება..... 99

6.3. პროფესიული განათლება.....101

6.3.1. პროფესიული განათლების დაფინანსება 104

6.4. უმაღლესი განათლება 111

6.4.1. სახელმწიფო სასწავლო გრანტები.....112

6.5. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება 113

ნაწილი 7. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები და სერვისები.....115

7.1. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა 115

7.2. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიზნობრივი პროგრამები 116

8. სოციალური პროგრამები 123

8.1. სახელმწიფო გასაცემლები 123

8.1.1. სახელმწიფო პენსია 123

8.1.2. სახელმწიფო კომპენსაცია 125

8.1.3. საყოფაცხოვრებო სუბსიდია 126

8.1.4. სოციალური პაკეტი 127

8.1.5. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება 129

8.2. სოციალური პროგრამები 131

8.2.1. ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) 131

8.2.2. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა 133

8.3. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები 135

8.4. სერვისები სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის 138

ნაწილი 9: დასაქმების ხელშეწყობა 140

9.1. დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა 141

9.1.1. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა 141

9.1.2. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა .. 143

9.1.3. საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა 146

9.2. საზღვარგარეთ დროებითი (ცირკულარული) დასაქმება 149

9.3. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრები 149

ნაწილი 10. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა 150

10.1. სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა 150

10.2. სარეინტეგრაციო დახმარების არასახელმწიფო პროგრამები 152

ნაწილი 1. საქართველოში დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტები, პირადი დოკუმენტებისა და მოქალაქეობის სტატუსის აღდგენა

1.1. საქართველოში დაბრუნებისათვის საჭირო დოკუმენტები



საქართველოში დასაბრუნებლად მიგრანტს უნდა ჰქონდეს საქართველოს პასპორტი (ვადიანი), ან საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა.
საქართველოს მოქალაქის პასპორტის დაკარგვის ან მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, მოქალაქეს შეუძლია ახალი პასპორტის აღება საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულოებში. პასპორტი გაიცემა როგორც სრულწლოვან მოქალაქეზე, ისე არასრულწლოვან (18 წლამდე ასაკის) პირზე.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა წარმოადგენს უცხოეთიდან საქართველოში დასაბრუნებელ დროებით სამგზავრო დოკუმენტს.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

- ვადაგასული, დაკარგული, ან სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთვის უვარგისი (იგულისხმება გაცვეთა ან დაზიანება) სამგზავრო დოკუმენტის სანაცვლოდ ან ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში;
- ნებაყოფლობით დაბრუნების, საქართველოში დეპორტაციის ან რეადმისიის მიზნით;
- საგანგებო სიტუაციის არსებობის დროს, საქართველოს მოქალაქის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირის ოჯახის წევრების ჰუმანიტარული მიზნით საქართველოში გამოსამგზავრებლად;
- საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან მის მიმართ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს მოქალაქემ პასპორტის ან საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოს საქართველოს საკონსულოს მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება განცხადების მიღებიდან 15 დღის ვადაში. დასაბრუნებელ მოწმობა გაიცემა ერთ თვემდე მოქმედების ვადით.

საქართველოს საკონსულოების საკონტაქტო ინფორმაცია, ცალკეული ქვეყნების მიხედვით მოცემულია ვებ-გვერდზე: https://www.geoconsul.gov.ge/ka/consularOffices

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეფონზე: +995 322 945 050 ან ელექტრონულ ფოსტაზე: consulinfo@mfa.gov.ge ან იხილოთ ვებგვერდზე: www.geoconsul.gov.ge .

საქართველოს მოქალაქის პასპორტის საზღვარგარეთ აღებისათვის მოქმედებს შემდეგი პირობები:

- საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ და საქართველოში მიღებული აქვს პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, შეუძლია ისარგებლოს სერვისების განვითარების სააგენტოს ონლაინ სერვისით შესაბამის ვებ-გვერდზე http://sda.gov.ge/?page_id=4118 ელექტრონული განაცხადის შევსების გზით;
- საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ და ერთხელ მაინც აქვს მიღებული პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, უფლებამოსილია მიიღოს

ბიომეტრიული პასპორტი მინდობილი პირის მეშვეობით სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე;

- საქართველოს მოქალაქემ, რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ და საქართველოში არ აქვს მიღებული პასპორტი ბიომეტრიული მონაცემებით, პირადად უნდა მიმართოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას და წარადგინოს განაცხადი.

1.2. პირადი დოკუმენტების განახლება/აღდგენა

პირადობის მოწმობა

პირადობის ელექტრონული მოწმობა პირის მოქალაქეობის და ვინაობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტია.

პირადობის ელექტრონული მოწმობა წარმოადგენს გაყალბებისგან დაცულ მაღალტექნოლოგიურ დოკუმენტს, რომელიც მზადდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ ეტაპზე, მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია სამგზავრო დოკუმენტად თურქეთში მგზავრობისას.

საქართველოს მოქალაქე ვალდებულია 14 წლის ასაკის მიღწევიდან 6 თვის ვადაში აიღოს პირადობის ელექტრონული მოწმობა. მოწმობის დამზადება შესაძლებელია 14 წლამდე ასაკის პირზეც, მისი კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში.

პირადობის ელექტრონული მოწმობის მიღებისათვის საჭიროა შესაბამის სამსახურში შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- დადგენილი ფორმის განცხადება;
- ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- დაბადების მოწმობა;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

პირადობის ელექტრონული მოწმობის მისაღებად დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე:

- იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს (http://psh.gov.ge/main/page/7/406)
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს (https://sda.gov.ge/?page_id=5872)
- საზოგადოებრივ ცენტრებს (http://centri.gov.ge/ge/centers).
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებას (https://www.geoconsul.gov.ge/ka/consularOfficesMap

შენიშვნა: *იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გაცემასთან ერთად ხორციელდება მისამართზე რეგისტრაცია მიმართეთ სააგენტოს/იუსტიციის სახლის/საზოგადოებრივი ცენტრის იმ ფილიალს, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება საცხოვრებელი მისამართი.*

პირადობის ელექტრონული მოწმობის აღების საფასური განსხვავდება მომსახურების ვადის მიხედვით:

ცხრილი 1.1. პირადობის ელექტრონული მოწმობის საფასური მომსახურების ვადის მიხედვით

მომსახურების ვადა	საფასური
მე-10 სამუშაო დღეს	60 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	80 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	100 ლარი
24 საათში	120 ლარი
იმავე დღეს	150 ლარი

დეტალური ინფორმაცია ელექტრონული პირადობის მოწმობის შესახებ ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

საქართველოს მოქალაქის პასპორტი

პასპორტი წარმოადგენს პირადობისა და მოქალაქეობის დამადასტურებელ სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც მოქმედებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. **ბიომეტრიული პასპორტი** არის დოკუმენტი, რომელიც დამატებით შეიცავს ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს, რომელზეც დატანილია პასპორტის მფლობელი პირის პერსონალური მონაცემები - ბიომეტრიული ფოტოსურათი, ხელმოწერა და თითის ანაბეჭდები.

ბიომეტრიული პასპორტის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე:

- იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ უფლებამოსილ ტერიტორიულ სამსახურს;
- საზოგადოებრივ ცენტრებს;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებას;

პასპორტის მისაღებად **სრულწლოვანმა პირმა** უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობა;
- ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

არასრულწლოვანი პირის პასპორტის მისაღებად დაინტერესებულ პირს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- დაბადების მოწმობა;
- ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანის შემთხვევაში - პირადობის მოწმობა;
- ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა - 16 წლამდე არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში;
- ერთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა - 16-18 წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში.

ჩანართი 1. ბიომეტრულ პასპორტის უპირატესობები

- ბიომეტრული პასპორტი ყველაზე მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული სამგზავრო დოკუმენტია, რომელიც არსებითად ზრდის საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდოობის ხარისხს;
- 2017 წლის 28 მარტიდან ბიომეტრიული პასპორტის მფლობელ პირებს შეუძლიათ ვიზის გარეშე გაემგზავრონ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში;
- უვიზოდ მოგზაურობა შესაძლებელია შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა ასევე შესაძლებელია შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანასთან:
- ევროკავშირის წევრი შენგენის სივრცის ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.
- ევროკავშირის არაწევრი შენგენის სივრცის ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;
- ევროკავშირის წევრი შენგენის კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;
- ბიომეტრიული პასპორტის მფლობელი პირი გამარტივებული პროცედურული უპირატესობით სარგებლობს სხვადასხვა ქვეყნის საზღვრის კვეთისას.

18 წელს მიღწეულ პირზე ბიომეტრიული პასპორტი გაიცემა 10 წლით, ხოლო 18 წლამდე არასრულწლოვან პირზე - 3 წლის ვადით.
ბიომეტრიული პასპორტის აღების საფასური განსხვავდება მომსახურების ვადის მიხედვით:

ცხრილი 1.2. ბიომეტრიული პასპორტის საფასური მომსახურების ვადის მიხედვით

მომსახურების ვადა	საფასური
მე-10 სამუშაო დღეს	150 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	180 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	225 ლარი
24 საათში	300 ლარი
იმავე დღეს	350 ლარი

არასრულწლოვანი პირისათვის ძალაშია შემდეგი საფასურები:

ცხრილი 1.3. ბიომეტრიული პასპორტის საფასური არასრულწლოვანი პირისათვის მომსახურების ვადის მიხედვით

მომსახურების ვადა	საფასური

მე-10 სამუშაო დღეს	75 ლარი
მე-5 სამუშაო დღეს	105 ლარი
მე-3 სამუშაო დღეს	150 ლარი
24 საათში	225 ლარი
იმავე დღეს	275 ლარი

დეტალური ინფორმაცია პასპორტის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე.

1.3. საქართველოში შემოსვლის სასაზღვრო პროცედურები

საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას სახელმწიფო საზღვარზე მგზავრთა და სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლისა და შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე.

ფიზიკური პირის მიერ საზღვრის გადაკვეთისას საპასპორტო კონტროლის გავლის მიზნით მესაზღვრე-კონტროლიორს წარედგინება მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი ან მისი შემცვლელი სხვა სამგზავრო დოკუმენტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია საზღვრის გადაკვეთა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებით საზღვრის გადაკვეთისას, პირმა ასევე უნდა წარადგინოს იმ კატეგორიის მართვის უფლების მოწმობა, რომელ ავტოსატრანსპორტო საშუალებასაც მართავს და სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტი.

მესაზღვრე-კონტროლიორის მიერ მოწმდება წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა სპეციალური ტექნიკის საშუალებით და ხდება მგზავრის შესახებ ინფორმაციის შემოწმება. საზღვრის გადაკვეთისას, მესაზღვრე-კონტროლიორის მიერ ხორციელდება შესაბამისი აღნიშვნები სამგზავრო დოკუმენტებში და ამ მიზნით დაისმება თარიღის შტამპი შესაბამისი აღნიშვნით „შემოსვლა“ ან „გასვლა“. პარალელურად, საზღვრის კვეთის და სამგზავრო დოკუმენტების მონაცემები შეიტანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში. ამასთან, სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში, მებაჟის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს მგზავრის ხელბარგის და ბარგის შემოწმება, ასევე ავტო ტრანსპორტით საზღვრის გადაკვეთისას, საშუალების საბარგულისა და სალონის დათვალიერება.

ჩანართი 2. მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ნებისმიერი ოდენობით ვალუტის საქართველოში შემოტანა და გატანა თავისუფლდება გადასახდელებისაგან, თუმცა, პირის მიერ 30 000 ლარზე მეტი ჯამური ოდენობის (ან მის ეკვივალენტი სხვა ვალუტაში) ნაღდი ფულის (ეროვნული, უცხოური ვალუტა), ჩეკების, სხვა ფასიანი ქაღალდების, საზღვარზე გადაადგილება ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას.

იმპორტისას გადასახდელებისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ:

- კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06–12, 15–21 ჯგუფებისა და 0302-0307, 2201-2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28–97 ჯგუფების შესაბამისი 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი, ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

- საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28–97 ჯგუფების შესაბამისი 3000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

ინფორმაცია სასაქონლო ნომენკლატურის ჯგუფებისა და სასაქონლო პოზიციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://www.geostat.ge/media/30987/CPA-2008_Geo.pdf

ცხრილი 1.4. საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები

გამტარი პუნქტი	მოსაზღვრე ქვეყანა	კატეგორია/სტატუსი
სარფი	თურქეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
ვალე	თურქეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
კარწახი	თურქეთი	სარკინიგზო/საავტომობილო/საერთაშორისო
ნინოწმინდა	სომხეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
გუგუთი	სომხეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
ახკერპი	სომხეთი	საავტომობილო/სახელმწიფოთაშორისი
სადახლო	სომხეთი	საავტომობილო/საერთაშორისო
სადახლო	სომხეთი	სარკინიგზო/საერთაშორისო
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	საავტომობილო/საერთაშორისო
მტკვარი/ვახტანგისი	აზერბაიჯანი	საავტომობილო/სახელმწიფოთაშორისი
სამთაწყარო	აზერბაიჯანი	საავტომობილო/სახელმწიფოთაშორისი
ლაგოდეხი/ცოდნა	აზერბაიჯანი	საავტომობილო/საერთაშორისო
გარდაბანი	აზერბაიჯანი	სარკინიგზო/საერთაშორისო
ყაზბეგი/დარიალი	რუსეთი	საავტომობილო/საერთაშორისო

საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი ***საერთაშორისო აეროპორტი,*** რომლებშიც განთავსებულია სასაზღვრო გამტარი პუნქტები.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი: +995 322 310 265; +995 322 310 341; +995 322 310 421 ვებგვერდი: www.tbilisiairport.com მისამართი: ქ. თბილისი 0158; სამგორის რ-ნი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი	**ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი** საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი: +995 422 235 100; +995 422 235 102; +995 422 235 103 ვებგვერდი: www.batumiairport.com მისამართი: ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმი	**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი** საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი: +995 431 237 000 ელ. ფოსტა: infodesk@airports.ge ვებგვერდი: https://www.kutaisi.aero/ მისამართი: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის მე-100 კმ

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

1.4. საქართველოს მოქალაქეობა

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება შესაძლებელია:

- დაბადებით;
- ნატურალიზაციით.

საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოპოვებს:

1. პირი, რომლის დაბადების მომენტისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად (სუროგაციით) დაბადებული პირი, თუ მისი არცერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს;
3. საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა;
4. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირი, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე მშობელი უცნობია.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ნატურალიზაციით

ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით, რაც დასტურდება პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესები:

- საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება;
- საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება;
- საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება;
- საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება.

ცხრილი 1.5. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესები და პირობები

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესი	საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესები და პირობები
ჩვეულებრივი წესით	მიენიჭება სრულწლოვან პირს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: • კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 10 წლის განმავლობაში; • დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა; • დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები; • საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.
გამარტივებული წესით	მიენიჭება საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში. ზემოაღნიშნულ პირობასთან ერთად, მას მოეთხოვება საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების დადგენილ ფარგლებში ცოდნა.
საგამონაკლისო წესით	საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. • დაინტერესებულმა პირმა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისათვის დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები.
აღდგენის წესით	მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა: • არამართლზომიერად; • საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით; • მშობლის/მშობლების არჩევნის შედეგად. აღდგენის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის დაინტერესებული პირი დადგენილ ფარგლებში უნდა ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას. პირს არ მოეთხოვება დადგენილ ფარგლებში სახელმწიფო ენის ცოდნა, თუ მას საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად შეუწყდა.

მოქალაქეობის მინიჭების პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საქართველოს [ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.]

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე განცხადებას დაინტერესებული პირი პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით წარადგენს **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში, იუსტიციის სახლის ფილიალში** ან **საზოგადოებრივ ცენტრში,** ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირი – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურის მეშვეობით, ვებგვერდიდან: https://sda.gov.ge/?page_id=4118

მოქალაქეობის მოპოვებისა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდებზე: http://www.psh.gov.ge/main/menus/1/69 http://www.centri.gov.ge/ge/services?s=35

1.5. ცნობა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობას გასცემს შსს-ის მომსახურების სააგენტო. მასში აისახება ინფორმაცია ფიზიკური პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ.
ცნობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

5 სამუშაო დღეში ცნობის გაცემის საფასურია 20 ლარი; 3 სამუშაო დღეში - 35 ლარი; 1 სამუშაო დღეში - 45 ლარი.

იმ შემთხვევაში, თუ ცნობა გაიცემა მესამე პირზე - საჭიროა აღნიშნულმა პირმა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წერილობითი თანხმობა ან მინდობილობა. თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია – იურიდიული პირის წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობა მოქმედებს მისი **დამზადებიდან 30 კალენდარული დღე.**

ცნობის მისაღებად განაცხადის გაკეთება შესაძლებელია როგორც შსს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ისე ნებისმიერ ფილიალში.
შშს მომსახურების სააგენტოს ფილიალების საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ აქ: https://www.sa.gov.ge/contact .

1.6. ცნობა ნასამართლობის შესახებ

ცნობას ნასამართლობის შესახებ გასცემს შსს-ის მომსახურების სააგენტო. მასში აისახება ინფორმაცია ფიზიკური პირის ნასამართლობისა და ძებნის შესახებ.

ცნობის ასაღებად, დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში.

  ცნობა გაიცემა უფასოდ განაცხადის გაკეთებიდან 5 სამუშაო დღეში. დაჩქარებული წესით 1 სამუშაო დღეში ცნობის გაცემის საფასურია 25 ლარი, 3 სამუშაო დღეში - 15 ლარი;)

იმ შემთხვევაში, თუ ცნობა გაიცემა მესამე პირზე - საჭიროა აღნიშნულმა პირმა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, დაინტერესებული პირის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა ან მინდობილობა.

ნასამართლობის ცნობა მოქმედებს მისი დამზადებიდან 15 კალენდარული დღე.

ცნობის მისაღებად განაცხადის გაკეთება შესაძლებელია როგორც სააგენტოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ისე ნებისმიერ ფილიალში და იუსტიციის სახლში.

ნაწილი 2. საცხოვრისით უზრუნველყოფა

საქართველოში საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამები ვრცელდება მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებზე და ეკომიგრანტებზე. შესაბამისად, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტს იმ შემთხვევაში შეუძლია საცხოვრისით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა, თუ იგი მიეკუთვნება აღნიშნული კატეგორიებიდან ერთ-ერთს და აკმაყოფილებს ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

2.1. დევნილთა განსახლების სახელმწიფო პროგრამები

ინფორმაცია საქართველოში დევნილთა განსახლების სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 2.1. დევნილთა განსახლების პროექტები

პროექტის დასახელება	აღწერა	განმახორციელებელი ინსტიტუტი
მენაშენეების პროექტი	დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით ბინების მენაშენეებისგან შესყიდვა; ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართების შესყიდვა, კონკურსის წესით, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
მასშტაბური მშენებლობები რეგიონებში	იძულებით გადაადგილებული ოჯახების განსახლების მიზნით მასშტაბური მშენებლობები რეგიონებში, განსაკუთრებით იმ ქალაქებში, სადაც ყველაზე მწვავედ დგას დევნილთა განსახლების საკითხები	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
სოფლად სახლის შესყიდვის პროექტი	პროექტის ფარგლებში, დევნილი ოჯახი საქართველოს ნებისმიერ რეგიონში თავად არჩევს კერძო სახლს მიწის ნაკვეთით, კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული სახლის შესყიდვა. პროექტის ფარგლებში თანხის რაოდენობა ოჯახის სულადობიდან გამომდინარე განისაზღვრება: • ოჯახი, რომელიც შედგება 1 წევრისგან – 22 000 ლარი; • ოჯახი, რომელიც შედგება 2 წევრისაგან - 25 000 ლარი: • ოჯახი, რომელიც შედგება 3 წევრისგან – 28 000 ლარი; • ოჯახი, რომელიც შედგება 4 წევრისგან – 31 000 ლარი; • ოჯახი, რომელიც შედგება 5 წევრისგან – 34 000 ლარი; • ოჯახი, რომელიც შედგება 6 წევრისგან - 37 000	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

	ლარი: • ოჯახი, რომელიც შედგება 7 წევრისგან - 40 000 ლარი; • ოჯახი, რომელიც შედგება 8 წევრისგან - 43 000 ლარი, ხოლო ყოველ შემდეგ წევრზე 3000 ლარი;	
ვეტერანი დევნილების განსახლების პროგრამა	სპეციალური კვოტები ვეტერანი დევნილებისათვის: მიმდინარე ეტაპზე ბინები გამოყოფილია თბილისში, ქუთაისში და ზუგდიდში	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
საცხოვრებელი და საერთო სარგებლობის ფართების დაკანონება	სახელმწიფო საკუთრებაში მცხოვრები დევნილი ოჯახებისათვის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა.	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით
დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა - ქირა	გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, დევნილი ოჯახების ქირის თანხით უზრუნველყოფა. ქირის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია, კრიტერიუმების მიხედვით	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
ერთჯერადი ფულადი დახმარება	გადაუდებელი ან განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში დევნილების ერთჯერადი ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა. ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას კრიტერიუმების შესაბამისად იღებს კომისია. ფულადი დახმარების გაცემა შესაძლებელია 6 თვეში ერთხელ.	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

განსახლების პროექტების ფარგლებში განაცხადის შევსება, ასევე ქირისა და ერთჯერადი დახმარების მოთხოვნით განცხადების დაწერა იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და მის ტერიტორიულ სამმართველოებში (მისამართები იხილეთ აქ: https://idp.gov.ge/idp-housing/), ასევე ქვეყნის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ იუსტიციის სახლში შეუძლიათ.
განაცხადების მიღების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, ვადები, წინასწარ ქვეყნდება. „სოფლად სახლის" პროექტის ფარგლებში, განაცხადების მიღება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია დევნილთა განსახლების პროექტების შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე .

2.2. ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამები

ეკომიგრანტთა მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული განსახლების პროექტები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 2.2. ეკომიგრანტთა განსახლების პროექტები

პროექტის დასახელება	აღწერა	განმახორციელებელი ინსტიტუტი
ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო გარემოში განსახლება	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვა. შესაბამისი კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ოჯახს ერთთვიანი ვადა ეძლევა, რათა შესასყიდად თავისივე შერჩეული სახლი წარმოადგინოს, რომლის შესყიდვაც 30 000 ლარის ფარგლებშია შესაძლებელი.	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაკანონება	2004-2012 წლებში ეკომიგრანტი ოჯახებისთვის სარგებლობაში გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაკანონება	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

ეკომიგრანტ ოჯახებს სახლის შესყიდვის მოთხოვნით განაცხადის შევსება, სააგენტოსა და მის ტერიტორიულ სამმართველოებში და ქვეყნის მასშტაბით არსებულ ნებისმიერ იუსტიციის სახლში შეუძლიათ. პროექტის ფარგლებში, განაცხადების მიღება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია ეკომიგრანტთა განსახლების პროექტების შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

2.3. საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასი საქართველოში

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის IV კვარტალში, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები კვადრატულ მეტრზე ქ. თბილისის უბნების მიხედვით შემდეგი იყო:

ცხრილი 2.3. უძრავი ქონების ფასები თბილისის უბნების მიხედვით (ლარი/კვ. მ)

თბილისის უბანი	1 მ2 ფასი ბინების სეგმენტში
მთაწმინდა	3 930
ვაკე	3 540
საბურთალო	3 160
ჩუღურეთი	3 045
კრწანისი	2 990

დიდუბე	2 850
ნაძალადევი	2 720
ისანი	2 540
გლდანი	2 500
სამგორი	2 370

წყარო: საქსტატი, [საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები საქართველოში, 2021, IV კვარტალი]

<u>ჩანართი 4: პრაქტიკული ინფორმაცია</u>

ინფორმაცია უძრავი ქონების ყიდვა/გაყიდვა/გაქირავება/დაგირავების შესახებ, შეგიძლიათ მოიძიოთ, შემდეგ ვებგვერდებზე:

https://place.ge/ge

https://www.myhome.ge/ka/

https://www.makler.ge/ka

https://gancxadebebi.ge/

https://ss.ge/ka/udzravi-qoneba

https://gethome.ge/

2.4. იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები

საცხოვრებლის (ბინა, კერძო სახლი) შესაძენად, გასარემონტებლად ან ასაშენებლად კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემენ იპოთეკურ სესხებს.

იპოთეკური სესხის მისაღებად აუცილებელი წინაპირობაა მისი უზრუნველყოფა უძრავი ქონებით (საცხოვრებელი ბინა, სახლი, კომერციული ფართი, მიწის ნაკვეთი). იპოთეკური სესხის მაქსიმალური ოდენობა და სესხით სარგებლობის პირობები კომერციული ბანკების მიხედვით განსხვავებულია.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების იპოთეკური სესხების პირობები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 2.4. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების იპოთეკური სესხების პირობები

კომერციული ბანკი	სესხის თანხა	პირობები

თიბისი ბანკი	3000-500 000 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში ევროში)	**ვადა:** 6-240 თვე (სესხის უცხოურ ვალუტაში აღების შემთხვევაში 120 თვე). **საპროცენტო განაკვეთი:** ლარი 13.2%-დან, ევრო 5,6%-დან, აშშ დოლარი 6.9%-დან. **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** ლარი 14.92%-დან, ევრო 6.67%-დან, აშშ დოლარი 8.04%-დან. **სესხის უზრუნველყოფა:** უძრავი ქონება ბინის, კომერციული ფართის ან მიწის ნაკვეთის სახით. **თანამონაწილეობა:** 15%-დან. დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/mortgage-loans3
საქართველოს ბანკი	3 000 აშშ დოლარის ექვივალენტიდან ლარში	**ვადა:** 180 თვე **საპროცენტო განაკვეთი:** ლარი - 13.4%-დან; დოლარი - 5.2%-დან; ევრო - 5.15%-დან **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** ლარი - 14.85%-დან; დოლარი - 6.3%-დან; ევრო - 6%-დან **სესხის უზრუნველყოფა:** უძრავი ქონება დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://bankofgeorgia.ge/ka/retail/loans#mortgage
ვითიბი ბანკი	10 000 -1 300 000 ლარი	**ვადა:** 20 წელი (მაქსიმალური) **საპროცენტო განაკვეთი:** 13.9%-დან GEL / 5.9%-დან USD / 5%-დან EUR **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 15.77%-დან GEL / 6.76%-დან USD / 5.64%-დან EUR **თანამონაწილეობა:** 0%-დან დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://vtb.ge/ge/individuals/loans/3/ipotekuri-seskhebi
ლიბერთი ბანკი	3000 ლარიდან	**ვადა:** მინიმალური - 6 თვე, მაქსიმალური - 180 თვე უცხოურ ვალუტაში, მაქსიმალური - 240 თვე ლარში. **საპროცენტო განაკვეთი:** 12.9 %-დან ლარში; 5.4 %-დან დოლარში; 4.8 %-დან ევროში. **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 14.24 %-დან. ლარში, 6.4 %-დან დოლარში, 5.6 %- დან ევროში. **სესხის უზრუნველყოფა:** უძრავი ქონება. **თანამონაწილეობა:** 0%-დან დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://libertybank.ge/ka/produqtebi/chemtvis/sesxebi/ipotekuri-sesxi
ბაზისბანკი	10,000–დან 600,000 ლარამდე;	**ვადა:** მინიმალური - 6 თვე, მაქსიმალური - 180 თვე უცხოურ ვალუტაში, მაქსიმალური - 240 თვე ლარში **საპროცენტო განაკვეთი:** 13.5%-დან ლარში, 7%-დან დოლარში, 5.5%-დან ევროში **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 13.58%-დან ლარში, 7%-დან დოლარში, 6.26%-დან ევროში **სესხის უზრუნველყოფა:** უძრავი ქონება დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://basisbank.ge/ge/private/loans/mortgage/

ხალიკ ბანკი	თანხა არ არის განსაზღვრული	**ვადა:** 20 წელი **საპროცენტო განაკვეთი:** 11%-დან GEL / 7%-დან USD / 5%-დან EUR **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 12.03%-დან GEL / 7.82%-დან USD / 5.38%-დან EUR **სესხის უზრუნველყოფა:** უძრავი ქონება **თანამონაწილეობა:** არ მოითხოვება დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://halykbank.ge/ka/individuals/loans/1/miznobrivi-seskhi/1/ipotekuri-seskhi
სილქროუდ ბანკი	1000 – 1 000 000 ლარი (ექვივალენტი აშშ დოლარი, ევრო)	**ვადა:** 6-180 თვე **საპროცენტო განაკვეთი:** 11.50 %-დან ლარში; 7.00%-დან დოლარში; 6.50 %-დან ევროში **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 12.23 %-დან ლარში, 7.31 %-დან დოლარში, 6.78 %- დან ევროში **სესხის უზრუნველყოფა:** უძრავი ქონება ბინის, კომერციული ფართის ან მიწის ნაკვეთის სახით დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://www.silkroadbank.ge/geo/page/501

საცხოვრებლის რემონტისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების, ასევე სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკისა თუ მობილური ტელეფონის შესაძენად შესაძლებელია სამომხმარებლო სესხის აღება. სამომხმარებლო სესხებს გასცემს თითქმის ყველა ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხით სარგებლობის პირობები განსხვავებულია.

კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირებისათვის შეთავაზებული სამომხმარებლო სესხების პირობები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 2.5. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების პირობები

კომერციული ბანკი	სესხის თანხა	პირობები
თიბისი ბანკი	500-300 000 ლარი (ექვივალენტი დოლარი ევრო)	**ვადა:** 6-120 თვე **საპროცენტო განაკვეთი:** 15%-დან(ლარი) 7.6%-დან (აშშ დოლარი), 6.75% - დან (ევრო) **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 17.04% -დან(ლარი) 8.66% -დან(აშშ დოლარი) 7.74%- დან(ევრო) **სესხის უზრუნველყოფა:** 48 თვის ჩათვლით - უზუნველყოფის გარეშე, 120 თვის ჩათვლით - უძრავი ქონება **შემოსავალი:** ხელფასი, იჯარა, გზავნილები, დივიდენდი დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე .

საქართველოს ბანკი	400 - 75.000 ლარი (ეკვ. სხვა ვალუტაში)	**ვადა:** 6-120 თვე **საპროცენტო განაკვეთი:** ლარში 9%-დან **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** ლარში 18.5%-დან **სესხის უზრუნველყოფა:** 48 თვემდე ვადით მაქს. 50 000 ლარი - უზრუნველყოფის გარეშე, ან უზრუნველყოფილი თავდებობით ან ავტომანქანით; 48 თვეზე მეტი ვადით 50 000 ლარზე მეტი - უძრავი ქონების უზრუნველყოფით. **შემოსავალი:** მინიმუმ 200 ლარი დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე.
ვითიბი ბანკი	400 -45 000 ლარი	**ვადა:** 48 თვემდე **საპროცენტო განაკვეთი:** 11.9%-დან **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 18.2%-დან **სესხის უზრუნველყოფა:** არ მოითხოვება **შემოსავალი:** 300 ლარიდან დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე .
ლიბერთი ბანკი	300 ლარიდან	**ვადა:** 3-48 თვე **საპროცენტო განაკვეთი:** 9.9%-დან **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 20.14%-დან **სესხის უზრუნველყოფა:** არ მოითხოვება **შემოსავალი:** 200 ლარიდან დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე
ბაზისბანკი	50 000 ლარი (მაქსიმალური)	**ვადა:** 6-დან 48 თვემდე **საპროცენტო განაკვეთი:** 10.9%-დან **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 16.38% **სესხის უზრუნველყოფა:** არ მოითხოვება **შემოსავალი:** 300 ლარიდან დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე.
ხალიკ ბანკი	30 000 ლარი (მაქსიმალური)	**ვადა:** 4 წელი **საპროცენტო განაკვეთი:** 10%-დან **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 14.26%-დან **სესხის უზრუნველყოფა:** არ მოითხოვება დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე .
სილქროუდ ბანკი	50 000 ლარი (მაქსიმალური)	**ვადა:** 6-დან 48 თვემდე **საპროცენტო განაკვეთი:** 9%-დან 15.5%-მდე **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:** 17.23%-დან 17.94%-მდე **სესხის უზრუნველყოფა:** არ მოითხოვება დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე.

ნაწილი 3. ქონების რეგისტრაცია

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის შესაძლოა აქტუალური იყოს ქონების რეგისტრაცია, დაკანონება და ამ პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის და სერვისების მიღება.

საქართველოში რეგისტრაციას ექვემდებარება უძრავი და მოძრავი ქონება.

უძრავ ქონებას მიეკუთვნება:

- ✓ მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე;
- ✓ შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული);
- ✓ შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული);

იმისთვის, რომ ქონებაზე დაინტერესებულ პირს წარმოეშვას საკუთრების უფლება, ***სავალდებულოა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.*** უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნიშნავს ამ უფლების წარმოშობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვას შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

3.1. <u>უძრავი ქონების რეგისტრაცია</u>

- <u>მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული უძრავი ქონების რეგისტრაცია</u>

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა არის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწა.

რას ნიშნავს საკუთრების უფლების აღიარება?

საკუთრების უფლების აღიარება ნიშნავს ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნისათვის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემას.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებობა დგინდება ამ მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ამ შემთხვევაში, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, მართლზომიერ

მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას.

რომელ მიწის ნაკვეთები არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას?

საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწა: ა) პირუტყვის გადასარეკი ტრასა; ბ) წყლის სახელმწიფო ფონდის და სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მიწა, გ) დაცული ტერიტორია, დ) რეკრეაციული დანიშნულების პარკი, ტყე-პარკი, სკვერი და სხვა, ე) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები; ვ) საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთი (მოედანი, ქუჩა, გასასვლელი, გზა, ტროტუარი, სანაპირო, დასავენებელი ადგილი (პარკი, ტყეპარკი, სკვერი, ხეივანი), დენდროლოგიური პარკი და ბოტანიკური ბაღი; ზ) სპეციალური დანიშნულების (თავდაცვისა და მობილიზაციისათვის განკუთვნილი) მიწის ნაკვეთები; თ) სასაფლაო და პანთეონი; ი) სანიტარიული და დაცვითი ზონები და კანონმდებლობით დადგენილი სხვა მიწის ნაკვეთები.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქ: https://napr.gov.ge/p/302

- <u>მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია</u>

მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნიშნავს გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლას სხვა პირზე/პირებზე (მემკვიდრეებზე). არსებობს მემკვიდრეობის ორი სახე: კანონით და ანდერძით მემკვიდრეობა. კანონით მემკვიდრეობა გამოიყენება მაშინ, როდესაც მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდრეძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდრო ქონების ნაწილს, ან თუ ანდერძი მართალია იყო დატოვებული მამკვიდრებლის მიერ, მაგარამ იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმდა (ბათილად იქნა ცნობილი).

იმისათვის, რომ მემკვიდრეობის საფუძველზე კონკრეტულ ქონებაზე წარმოიშვას საკუთრების უფლება, აუცილებელია ნოტარიუსის მიერ გაიცეს სამკვიდრო მოწმობა რომელიც შეიძლება იყოს გაცემული ან კონკრეტულ ქონებაზე/ქონებებზე ან/და ე.წ ზოგადი ხასიათის და სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მოხდეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობა გაიცემა როგორც კანონით მემკვიდრეზე, ასევე ანდერძის არსებობის შემთხვევაში). მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მემკვიდრეს (ახალ მესაკუთრეს) თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, იპოთეკით დატვირთოს და ა.შ.) მის საკუთრებაში მემკვიდრეობის საფუძველზე გადასული ქონება.

მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა/მემკვიდრემ უნდა მიმართოს იუსტიციის სახლის ან საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ოფისს და წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი და მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://napr.gov.ge/p/307

- ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

ჩუქება არის ურთიერთობა ორ მხარეს (მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს) შორის, რა დროსაც მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

აღსანიშნავია, რომ ***პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.*** ასევე არ შეიძლება ჩუქების ხელშეკრულების დადება სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით.

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

რაც შეეხება საჩუქრის დაპირებას, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.

ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქ: https://napr.gov.ge/p/304

- იჯარის უფლების რეგისტრაცია

იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით.

მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

იჯარის ერთ–ერთი სახეა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა, რომლის დროსაც მიწის ნაკვეთი სასოფლო–სამეურნეო მიზნით გადაეცემა სამეურნეო გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან ასეთი ნაგებობის გარეშე.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარაზე ვრცელდება იჯარის წესები. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. თუ ეს ფორმა არ არის დაცული, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

იჯარის უფლების რეგისტრაციის წესი შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://napr.gov.ge/p/305

- [იპოთეკის უფლების რეგისტრაცია]

იპოთეკა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ–ერთი საშუალება, რომელიც გულისხმობს, რომ უძრავი ნივთი (მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა, შენობა-ნაგებობის ერთეული) შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის (მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა, შენობა-ნაგებობის ერთეული) რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება იპოთეკის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის (მსესხებელი, მესაკუთრე, იპოთეკარი (კრედიტორი, გამსესხებელი), მიერ ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში წარდგენის საფუძველზე. იპოთეკის ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესაძლებელია აღინიშნოს აგრეთვე უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, სარგებელი, შესრულების ვადა და სხვა პირობები.

იპოთეკის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით და დამოწმდეს ან სანოტარო წესით ან უშუალოდ იუსტიციის სახლის/ საჯარო რეესტრის მიმღებ–ოპერატორთან.

აღსანიშნავია, რომ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ***იპოთეკის ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია განუმარტოს ხელშეკრულების მხარეებს ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მოჰყვება მათ მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას.*** თუმცა ეს მოთხოვნა არ ვრცელდება კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად დადებულ იპოთეკის ხელშეკრულებებზე.

კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, რომ ერთი უძრავი ნივთი შეიძლება რამდენჯერმე დაიტვირთოს იპოთეკით. ასეთ შეთხვევაში იპოთეკის რიგითობა განისაზღვრება იპოთეკის შესახებ საჯარო რეესტრში განცხადების რეგისტრაციის თარიღის მიხედვით.

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს იპოთეკარის (კრედიტორის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებაში. თუ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს იპოთეკარის (კრედიტორის) საკუთრებაში, თუკი იპოთეკარი (კრედიტორი) და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს.

საჯარო რეესტრში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც იპოთეკის უფლების წარმოშობის, ისე იპოთეკის უფლებაში ცვლილების და იპოთეკის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია.

ინფორმაცია იპოთეკის უფლების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებისა და რეგისტრაციის წესი შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://napr.gov.ge/p/306

- **უძრავი ქონების რეგისტრაციის მომსახურების ვადები და მომსახურების საფასური**

ინფორმაცია უძრავი ქონების რეგისტრაციის მომსახურების ვადებისა და მომსახურების საფასურის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://napr.gov.ge/p/455

უძრავი ქონების რეგისტრაციის, საკურების უფლების, იპოთეკის, იჯარის და სხვ. შესახებ ამონაწერების მიღება შესაძლებელია ***დისტანციურადაც.*** დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ: https://napr.gov.ge/p/1932

საჯარო რეესტრის ეროვნული გააგენტოს ვებ-გვერდი: https://napr.gov.ge. ცხელი ხაზი: 2 405 405

საქართველოს კანონი "მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" იხილეთ აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3306633

3.2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

სასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთს განეკუთვნება ის მიწის ნაკვეთები, რომელთა გამოყენება ხდება სასოფლო–სამეურნეო მიზნით. ასეთია: ***სამოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბალე, საბოსტნე) და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.***

იმისათვის, რომ კონკრეტულ სასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთზე წარმოიშვას საკუთრების უფლება, აუცილებელია მოხდეს ამ უფლების ***რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.*** მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მესაკუთრეს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციისთვის დაინტერესებულმა პირმა, უნდა მიმართოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ მომსახურების ცენტრს ან იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს.

დეტალური ინფორმაცია მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისა და რეგისტრაციის წესებსა და პირობებზე შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://napr.gov.ge/p/303

საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა/მესაკუთრემ იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ოფისში უნდა წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები:

- განცხადება *(აღნიშნული ივსება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში უშუალოდ დოკუმენტების მიმღები ოპერატორის მიერ);*
- მესაკუთრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად/სათანადო წესით დამოწმებული ასლი (საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის მიღება–ჩაბარების აქტი, ცნობა/ინფორმაცია სახელმწიფო არქივიდან, რეფორმის შედეგად გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა, ამონაწერი საკომლო წიგნიდან, საგადასახადო სია, საკუთრების მოწმობა და სხვა);
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მისი ელექტრონული ვერსია (მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვას ახორციელებენ შესაბამის რეგიონში მოქმედი საამზომველო კომპანიები).

სასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია და დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების დაზუსტება (გარდა თვითმმართველი ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში და რეკრეაციულ ტერიტორიებზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა) ***წარმოებს მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე 4 სამუშაო დღის ვადაში.***

შესაძლებელია ასევე დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაც. ამ შემთხვევაში მომსახურების საფასური და ვადები შემდეგნაირია:

- განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი;
- ერთ სამუშაო დღეში – 150 ლარი.

სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება განცხადების შეტანის/რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის 9.00 საათზე. ეს წესი არ ვრცელდება მომსახურების დაუყოვნებლივ და განცხადების შეტანის დღეს მიღების შემთხვევებზე.

თუ მომსახურება უნდა განხორციელდეს განაცხადის შეტანიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, სარეგისტრაციო ვადა დამთავრდება ვადის ბოლო დღის 9.00 საათზე იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მომსახურების მიღების თაობაზე განაცხადი შემოტანილია არაუგვიანეს 12.00 საათისა. ხოლო თუ განცხადება შემოტანილია დღის 12.00 საათის შემდეგ, ვადა დამთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეებს, ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

თუ მესაკუთრეს რეგისტრაციის განხორციელება სურს არა პირადად, არამედ ***წარმომადგენლის მეშვეობით,*** ასეთ შემთხვევაში დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ: https://napr.gov.ge/p/310

3.3. მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა

საქართველოში მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის მიზანია მიწის რეგისტრაციის გამარტივება.

მიწის სისტემური რეგისტრაციის ახალი პროექტი 2022 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და 2024 წლის ბოლომდე დასრულდება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სისტემური წესით მთელი ქვეყნის ტერიტორიის მესამედს, დაახლოებით, 1,2 მლნ ჰექტარ ფართობს (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა) დაარეგისტრირებს.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფასოდ განახორციელებს:

- ✓ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიებასა და სისტემატიზებას;
- ✓ საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის მომზადებას;
- ✓ საკადასტრო მონაცემების ცვლილებას;
- ✓ საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას;
- ✓ საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაზუსტებას;
- ✓ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმებას, დავების გადაწყვეტას (სანოტარო მედიაცია);
- ✓ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას;
- ✓ ფაქტების კონსტატაციას.

მიწის სისტემური რეგისტრაცია 2022-2024 წლების განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა). https://www.facebook.com/NAPR.gov.ge

სპორადული წესით (დაინტერესებული პირის განცხადებისა და მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე) ***მიწის რეგისტრაციის ფასი განისაზღვრა კანონით.*** საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3306633

3.4. მოძრავი ქონების რეგისტრაცია

სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია

საქართველოში 90 დღეზე მეტი ვადით შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალების დროებითი ***რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში,*** მიუხედავად საცხოვრებელი თუ იურიდიული მისამართისა. ქვეყნის ფარგლებს გარედან საქართველოში რეგისტრაციის მიზნით, შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დარეგისტრირება უნდა მოხდეს 60 დღის განმავლობაში.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (50 სმ^3 -ზე მეტი ძრავას მუშა მოცულობის მქონე სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათი მისაბმელები, ნომრიანი აგრეგატები და დამხმარე ტექნიკური საშუალებები) პირველად რეგისტრაციისათვის მესაკუთრემ სარეგისტრაციო სამსახურში უნდა წარადგინოს:

- ✓ განცხადება *(ივსება ადგილზე)*;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- ✓ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ დათვალიერების აქტი;
- ✓ კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანომრე ნიშნის საფასური 35 ლარი; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის საფასური 35 ლარი);
- ✓ შიდა ტრანზიტი – საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის მონაწილე, დაურეგისტრირებელი სატრანსპორტო საშუალების დროებითი სანომრე ნიშანი.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილის ან მესაკუთრის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის შეცვლისას სატრანსპორტო საშუალების გადაფორმებისათვის აუცილებელია სააგენტოში შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

- ✓ განცხადება (ივსება ადგილზე);
- ✓ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა;
- ✓ დათვალიერების აქტი;
- ✓ პირადობის მოწმობა ან იურიდიული მისამართის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დეტალური ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.sa.gov.ge/p/vehicle/registration

მოპედის და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია

მოპედის და მსუბუქი კვადროციკლის პირველადი რეგისტრაციისათვის მესაკუთრის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ უნდა იქნას:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში – რეგისტრაციის განხორციელებაზე წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმოდგენილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დათვალიერების აქტი;
- ტრანსპორტზე საკუთრების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადება ტრანსპორტის საკუთრების უფლებით პირველადი რეგისტრაციის თაობაზე;
- კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

** თუ დაინტერესებულმა პირმა ვერ წარადგინა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სააგენტო უფლებამოსილია სარეგისტრაციო მიზნებისათვის ტრანსპორტზე პირის საკუთრების უფლების არსებობა დადასტურებულად მიიჩნიოს, თუ დაინტერესებული პირი წერილობითი ფორმით აცხადებს, რომ იგი არის წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე.*

** 2022 წლის 26 თებერვლამდე მოპედის, მსუბუქი კვადროციკლის და მსუბუქი მოტოციკლის პირველადი რეგისტრაციისას შეღავათიანი საფასური მოქმედებს სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა - 25 ლარი, ხოლო სახელმწიფო ნომრის გაცემა - 15 ლარი. აღნიშნული პერიოდის შემდეგ იმოქმედებს სტანდარტული ფასი - სანომრე ნიშნები 25 ლარი, სარეგისტრაციო მოწმობა 35 ლარი.*

სატრანსპორტო საშუალების გადაფორმება

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გადაფორმება შეიძლება განხორციელდეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის შეცვლისას (რეალიზაცია, ჩუქება, გაცვლა და ა.შ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველზე,

სატრანსპორტო საშუალების გადაფორმებისას შსს-ს მომსახურების სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნას:

- ✓ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ პირადობის მოწმობა;
- ✓ დათვალიერების აქტი (იბეჭდება ადგილზე);
- ✓ ერთობლივი განცხადება;
- ✓ კანონით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანომრე ნიშნის საფასური - 35 ლარი; სატრანსპორტო სარეგისტრაციო მოწმობის საფასური - 35 ლარი).

ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და სანომრე ნიშნების აღების წესების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.sa.gov.ge/p/vehicle/transfer

სატრანსპორტო საშუალების მემკვიდრეობით მიღების წესები იხილეთ აქ: https://www.sa.gov.ge/p/vehicle/inheritance

3.5. სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობა

სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები და ქვეკატეგორიები

სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ცხრილი 3.1. სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები

კატეგორია	სამართავი საშუალება	მძღოლის ზღვრული ასაკი
A	მოტოციკლი	24 წლიდან
AM	მოპედი და მსუბუქი კვადროციკლი	16 წლიდან
B	ავტომობილი (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც მიეკუთვნება „A1" ქვეკატეგორიას ან „A" კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, არ აღემატება 8-ს. აგრეთვე „B" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს, ან „B" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს;	17 წლიდან
BE	"B" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750კგ-ს და ავტომობილის დაუტვირთავ მასას, აგრეთვე „B" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს;	18 წლიდან
C	ავტომობილი (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც მიეკუთვნება „D1" ან „D" კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, აგრეთვე „C" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;	21 წლიდან
CE	"C"კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;	21 წლიდან
D	ავტომობილი, რომელიც მგზავრთა გადასაყვანადაა განკუთვნილი და რომლის დასასხდომი ადგილები, მძღოლის ადგილის გარდა 8-ს აღემატება, აგრეთვე „D" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 750 კგ-ს არ აღემატება;	24 წლიდან
DE	"D" კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;	24 წლიდან

T	სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო ან სატყეო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი თვლიანი ან მუხლუხა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, აგრეთვე „T“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან;	17 წლიდან
S	საგზაო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი თვლიანი ან მუხლუხა სპეციალიზებული თვითმავალი მანქანა, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე არის 6 კმ/სთ-ზე მეტი და 45 კმ/სთ-ზე ნაკლები, აგრეთვე „S“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან.	18 წლიდან

"A,B,C,CE,D,DE"- კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება, იყოფა შემდეგ ქვეკატეგორიებად:

ცხრილი 3.2. სატრანსპორტო საშუალებების ქვეკატეგორიები

ქვეკატეგორია	სამართავი საშუალება	მძღოლის ზღვრული ასაკი
A1	მოტოციკლი, რომლის ძრავას მუშა მოცულობა არ აღემატება 125 სმ3-ს, ხოლო მაქსიმალური სიმძლავრე – 11 კვტ-ს (მსუბუქი მოტოციკლი);	17 წლიდან
A2	მოტოციკლი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 35 კვტ-ს, ხოლო სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი 0,2 კვტ/კგ-ს	
B1	მოტორიზებული ტრიციკლი და კვადროციკლი;	16 წლიდან
C1	ავტომობილი (გარდა იმ ავტომობილებისა, რომლებიც მიეკუთვნება „D1“ ქვეკატეგორიას ან „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება 7 500 კგ-ს, აგრეთვე „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;	18 წლიდან
C1E	C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს;	18 წლიდან
D1	მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილი, რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;	21 წლიდან
D1E	„D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომელიც არ არის განკუთვნილი მგზავრთა გადასაყვანად და რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს .	21 წლიდან

მართვის მოწმობის მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდები

მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დასაშვებად სავალდებულოა დაჯავშნოთ რიგი.

** მართვის მოწმობის მისაღებ თეორიულ გამოცდაზე რიგის დაჯავშნა შესაძლებელია თიბისი, საქართველოს და ლიბერთი ბანკების სწრაფი გადახდის აპარატებისა და ვებ პორტალის საშუალებით:* *https://www.sa.gov.ge/p/bookingterms*

ნებისმიერი კატეგორიის მართვის მოწმობის მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დასაშვებად დაინტერესებულმა პირმა საჭიროა წარადგინოს:

✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

✓ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV 100/ა);

- ✓ ავტოსკოლის შესაბამისი კატეგორიის სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (A და B კატეგორიის მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდაზე დასაშვებია კანდიდატთა დამოუკიდებელი მომზადება, გარდა 17 წლის პირის გამოცდაზე გასვლის შემთხვევაში);
- ✓ SMS შეტყობინება თეორიული გამოცდის რიგის დაჯავშნის შესახებ;
- ✓ თეორიულ გამოცდაზე გასვლის საფასური: 40 ლარი;
- ✓ მართვის მოწმობის დამზადების საფასური: 15 ლარი.

** თეორიულ გამოცდაზე მეორე გასვლის შემთხვევაში საფასური შეადგენს 40 ლარს.*

AM კატეგორიის მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დასაშვებად დაინტერესებულმა პირმა საჭიროა წარმოადგინოს:

- *პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;*
- *ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV 100/ა);*
- *დაბადების მოწმობის დედანი (ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი);*
- *მშობელი ან მშობლის ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა.*

*AM კატეგორიის თეორიულ გამოცდაზე გასასვლელად ვიზიტის დაჯავშნა სავალდებულო არ არის. * AM კატეგორიის მართვის უფლების მისაღებად გარდება მხოლოდ თეორიული გამოცდა.*

მართვის მოწმობის მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დასაშვებად 17 წლის პირის, ასევე სტუდენტის მიერ წარსადგენი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია ხელმისწავდომია ბმულზე: https://www.sa.gov.ge/p/driver-license/theoretical-test

თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კანდიდატს საშუალება აქვს 30 დღის განმავლობაში, 7 დღეში ერთხელ გავიდეს პრაქტიკულ გამოცდაზე (ფასიანი გასვლა ულიმიტოა);

* თეორიულ გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში, განმეორებით გამოცდაზე დაიშვება 7 დღის შემდეგ, გამოცდაზე რიგის დაჯავშნის და საფასურის თავიდან გადახდის შემთხვევაში.

მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის ტესტის გავლა შესაძლებელია: ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

<u>მართვის მოწმობის მოქმედების ვადა:</u>

- **AM, A, B, BE, T, S, A1, A2, B1** - კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების მართვის მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 15 წლით.
- **C, CE, D, DE, C1, C1E, D1, D1E** და ტრამვაის - კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების მართვის მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 წლით.
- საერთაშორისო მართვის მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 3 წლით (განურჩევლად მინიჭებული კატეგორიისა და ქვეკატეგორიებისა).

* მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, მართვის მოწმობის შეცვლა ხდება მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების გარეშე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა IV-100/ა) წარდგენის საფუძველზე.

<u>მართვის მოწმობები, რომლებიც ექვემდებარებიან გამოცვლას:</u>

** 2006 წლის 1 აპრილამდე საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2018 წლის 1 იანვრამდე. მათი შეცვლა შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში. შესაცვლელად, საჭიროა პირმა წარმოადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მოქმედი მართვის მოწმობა.*

** 2006 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 მარტამდე საქართველოში გაცემულ „C“, „CE“, „D“, „DE“, „C1“, „C1E“, „D1“ და „D1E“ კატეგორიების (ქვეკატეგორიების) მართვის მოწმობებს მოქმედების იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2019 წლის 1 მარტამდე.*

** 2006 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 მარტამდე საქართველოში გაცემულ „A“, „B“, „BE“, „T“, „S“, „A1“ და „B1“ კატეგორიების (ქვეკატეგორიების) მართვის მოწმობებს მოქმედების იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2028 წლის 1 სექტემბრამდე.*

დამატებითი ინფორმაცია მართვის მოწმობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.sa.gov.ge/s/driver-license?Area= .

<u>უცხო ქვეყნის მართვის მოწმობის შეცვლა</u>

საქართველოს მოქალაქემ ან ორმაგი მოქალაქობის მქონე პირმა, რომელსაც აქვს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ვადიანი მართვის მოწმობა, მის შესაცვლელად უნდა წარადგინოს:

- ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- ✓ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა;

- ✓ კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული მართვის მოწმობის დასტური (უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის წერილობითი მიმართვა ან ცნობა, რომელიც ადასტურებს მომსახურების სააგენტოში შესაცვლელად წარმოდგენილი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის გაცემის ან/და მართვის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის არარსებობის ფაქტს);
- ✓ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV 100/ა);
- ✓ მართვის მოწმობის გამცემი ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური უწყების მიერ საზღვრის კვეთის შესახებ გაცემული ცნობა;
- ✓ საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: *იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საზღვარგარეთ აღებული მართვის მოწმობის საქართველოში შეცვლა, აუცილებელია, რომ იგი მართვის მოწმობის აღებამდე იყოს ნამყოფი (ნაცხოვრები) მართვის მოწმობის გამცემ ქვეყანაში სულ მცირე 185 დღე, 1 წლის განმავლობაში. ამასთან, უცხო ენაზე გაცემული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ქართულ ენაზე თარგმნილი და შესაბამისი წესით ნოტარიულად დამოწმებული.*

* მართვის მოწმობის შეცვლის საფასურია 15 ლარი. შეცვლილი მართვის მოწმობა გაიცემა რამდენიმე წუთში.

შენიშვნა: *უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შეცვლა მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში ხდება. აღნიშნული სერვისი დისტანციურად არ ხორციელდება.*

საერთაშორისო მართვის მოწმობა

მომსახურების სააგენტო ***ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე გასცემს საერთაშორისო მართვის მოწმობას.***

საერთაშორისო მართვის მოწმობის ასაღებად წარსადგენი დოკუმენტებია:

- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- ✓ ეროვნული მართვის მოწმობა; (თუ ეროვნული მართვის მოწმობა 2014 წლის 1 მარტამდე არის გაცემული, მისი შეცვლა სავალდებულოა. შესაცვლელად საჭიროა დამატებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა)
- ✓ საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საერთაშორისო მართვის მოწმობის საფასური შეადგენს 109 ლარს და გაიცემა 3 წლამდე ვადით.

საერთაშორისო მართვის მოწმობა მზადდება და გაიცემა რამდენიმე წუთში.

საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა მომსახურების სააგენტოს ყველა ფილიალში, აღნიშნული სერვისი დისტაცნიურად არ ხორციელდება.

ნაწილი 4. სამეწარმეო საქმიანობა

4.1. სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა რეგულირდება განახლებული კანონით „მეწარმეთა შესახებ", რომელიც პარლამენტმა 2021 წლის 2 აგვისტოს დაამტკიცა.

სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა.

სამეწარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა:

- ✓ ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო, საარბიტრაჟო, სამედიატორო, სანოტარო, აუდიტორული ან საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა, აგრეთვე ფიზიკური პირების ან იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების მიერ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ✓ ფიზიკური პირების სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის განსახორციელებლად მუდმივად დასაქმებულია 5 პირი მაინც, რომელიც არ არის წარმოების მფლობელის ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელია მეწარმის სამართლებრივი ფორმის დაფუძნება.

მეწარმედ მიიჩნევა ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საწარმო. საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზებული სისტემა.

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური მეწარმის ან სამეწარმეო საზოგადოების ფორმით.

ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიან ურთიერთობაში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ***ფიზიკური პირი.*** ინდივიდუალური მეწარმე სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით, თუ ინდივიდუალურ მეწარმესა და კრედიტორს შორის შეთანხმებით (გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამეწარმეო საზოგადოების დასაფუძნებლად აუცილებელი ხდება სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების წარდგენა მარეგისტრირებელ ორგანოში. სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება წერილობით ფორმდება და მას ხელს აწერს სამეწარმეო საზოგადოების ყველა დამფუძნებელი პარტნიორი. სადამფუძნებლო შეთანხმება შედგება წესდებისა და კანონით დაწესებული სხვა სავალდებულო მონაცემებისგან.

სამეწარმეო საზოგადოება არის იურიდიული პირი. სამეწარმეო საზოგადოებაა:

- ✓ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება,
- ✓ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება,
- ✓ კომანდიტური საზოგადოება,
- ✓ სააქციო საზოგადოება,
- ✓ კოოპერატივი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც.

მეწარმის იურიდიული მისამართი არის მისი ფიზიკური მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე.

მეწარმის რეგისტრაცია სავალდებულოა. მეწარმის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო რეგისტრაციას, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მეწარმის რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების შესახებ ინფორმაციას ***მარეგისტრირებელი ორგანო ელექტრონულად უგზავნის შემოსავლების სამსახურს.***

მეწარმე წარმოშობილად მიიჩნევა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მეწარმის რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაშია მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე განთავსებისთანავე.

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის ან ცვლილების რეგისტრაციისთვის ფიზიკური პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს:

- წერილობით განცხადებას ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის ან ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით
- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს. თუ განმცხადებელი არის ***საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქე*** – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც გამოიყენება სანოტარო მოქმედებების შესრულების დროს პირის იდენტიფიკაციისთვის.

სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციისთვის მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება:

ა) სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება;

ბ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი თითოეული პირის თანხმობა აღნიშნული ფუნქციის შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ნება გამოხატულია სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში.

ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება წესდებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებას;

ბ) სამეწარმეო საზოგადოების იურიდიულ მისამართს;

გ) ყოველი პარტნიორის/დამფუძნებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს – სახელს, გვარს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს და პირად ნომერს, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს და საიდენტიფიკაციო ნომერს;

დ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და უფლებამოსილების ვადას, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია;

ე) გენერალური სავაჭრო წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში – მის საიდენტიფიკაციო ან სარეგისტრაციო მონაცემებს, აგრეთვე მისი უფლებამოსილების ვადას;

ვ) პარტნიორის წილის მმართველის არსებობის შემთხვევაში – მის საიდენტიფიკაციო ან სარეგისტრაციო მონაცემებს;

ზ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობას და მათი დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, თუ ეს საკითხები ამ კანონისგან განსხვავებულად არის მოწესრიგებული, ასევე აღნიშნულ წევრთა უფლებამოსილებას.

წესდებაში სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის მითითება სავალდებულოა. საქმიანობის საგნად შეიძლება მიეთითოს როგორც ზოგადი სამეწარმეო საქმიანობა, ისე კონკრეტული საქმიანობის საგანი.

მეწარმეს შეუძლია დააარსოს ფილიალი. ეს ფილიალი არ არის იურიდიული პირი. ***საქართველოში რეგისტრირებული მეწარმის ფილიალი არ რეგისტრირდება.*** ფილიალის საფირმო სახელწოდება შედგება მეწარმის საფირმო სახელწოდებისა და დამატებისგან „ფილიალი“, ან უნდა ჰქონდეს მეწარმის საფირმო სახელწოდებისგან განსხვავებული საფირმო სახელწოდება.

საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის ფილიალის რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ (მუხლი 15, პუნქტი 5).

მეწარმის არსებობის შეწყვეტით წყდება მისი ფილიალის არსებობაც.

მეწარმის საფირმო სახელწოდება უნდა იყოს ქართულ ენაზე. კანონი ადგენს მოთხოვნებს, თუ რა არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კომპანიის სახელად (მუხლი 16, პუნქტი 8).

2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული საწარმო ვალდებულია 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მეწარმეს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განუსაზღვრავს დამატებით, 3-თვიან ვადას, რომელიც აითვლება ადრესატისთვის შესაბამისი

გადაწყვეტილების დადგენილი წესით გაცნობის დღიდან. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი სამეწარმეო საზოგადოებისა და სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა.

დეტალური ინფორმაცია „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ კანონზე იხილეთ აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=0

ცხრილი 4.1. რეგისტრაციის ვადა და საფასური

მომსახურება	მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური
მეწარმე-სუბიექტის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია	1 სამუშაო დღე	200 ლარი
	განცხადების შეტანის დღეს	400 ლარი
ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია	1 სამუშაო დღე	26 ლარი
	განცხადების შეტანის დღეს	75 ლარი

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: https://napr.gov.ge/p/454

რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოსგან მიიღოს ამონაწერი. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი მზადდება ქართულ ენაზე, მოთხოვნის შემთხვევაში – ინგლისურ ენაზეც. ინგლისურ ენაზე ამონაწერის მიღებისას სავალდებულოა მისი ქართულ ენაზე მომზადებაც.

ელექტრონული კანცელარიის (https://napr.gov.ge/p/202) დახმარებით, ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს, ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, მარტივად, ელექტრონული ფორმით წარადგინოს განცხადება და შესაბამისი პასუხი ელექტრონულადვე მიიღოს, მოითხოვოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია რეესტრში დაცული მონაცემების შესახებ, საკადასტრო რუკის თუ ორთოფოტოს მომზადება და ასლების მიღება. ამას გარდა, პროგრამა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მოიძიონ და მიიღონ მათ მიერ სააგენტოს კანცელარიაში წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება.

4.2. საგადასახადო სისტემა

4.2.1. საქართველოში მოქმედი გადასახადები

საქართველოში მოქმედებს ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი და ერთი ადგილობრივი გადასახადი.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

- ✓ საშემოსავლო გადასახადი;
- ✓ მოგების გადასახადი;
- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- ✓ აქციზი;
- ✓ იმპორტის გადასახადი.

საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს, რომლის გადამხდელს წარმოადგენენ რეზიდენტი ფიზიკური პირები, ასევე არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 20%-ს.

დეტალური ინფორმაცია საშემოსავლო გადასახადის, გადახდის ვალდებულების, გადახდის წყაროსთან დაკავების და კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rs.ge/PersonsTaxes?cat=1&tab=1

მოგების გადასახადი ვრცელდება რეზიდენტ საწარმოზე და არარეზიდენტ საწარმოზე, რომელიც საქართველოში საქმიანობს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.

მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

დეტალური ინფორმაცია მოგების გადასახადის, გადახდის წესების, გამოანგარიშების, დასაბეგრი ხარჯების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.rs.ge/LegalEntityTaxFAQ?cat=1&tab=1

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც არის მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ფასზე დანამატი და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან მომსახურების შეძენისას.

დღგ-ის განაკვეთი არის 18%.

დამატებითი ინფორმაცია დღგ-თან დაკავშირებული ვალდებულებების, გადახდის წესის და არსებული შეღავათების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე:
https://rs.ge/PersonsTaxes?cat=3&tab=1

აქციზის გადამხდელებს წარმოადგენენ აქციზური საქონლის მწარმოებელი, იმპორტიორი და ექსპორტიორი პირები, ასევე ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიმწოდებლები, მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების განმახორციელებელი პირები.

აქციზის გადასახადი დიფერენცირებულია სააქციზო საქონლის სახეების მიხედვით. აქციზური საქონლის სახეებია:

- ალკოჰოლიანი სასმელები;
- თამბაქოს ნაწარმი (მათ შორის , თამბაქოს ნედლეული , თამბაქოს ნარჩენები);

- მსუბუქი ავტომობილი (გარდა სპორტული დანიშნულების ავტომობილისა);
- მოტოციკლი (მოპედის ჩათვლით);
- ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა);
- ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები;
- ბიოდიზელი;
- პიროლიზის თხევადი პროდუქტი;
- ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები;
- მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი;
- საპოხი მასალები და საშუალებები;
- სითხეები ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია აქციზთან დაკავშირებული ვალდებულებების, დასაბეგრი ოპერაციების და გადახდის წესის შესახებ ხელმისავდომია ბმულზე: https://rs.ge/PersonsTaxes?cat=4&tab=1

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადააადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება.

იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისთვის მისი ოდენობა განისაზღვრება შესაბამის საქონელზე საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

იმპორტის გადასახადი გადაიხდება საქართველოს ეროვნული ვალუტით – ლარით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

იმპორტის გადასახდელის კალკულატორი იხილეთ აქ:
https://rs.ge/EservicesTaxCalculator?cat=1&tab=1

ადგილობრივ გადასახადს მიუკუთვნება ქონების გადასახადი. მის გადამხდელებს წარმოადგენენ რეზიდენტი საწარმოები, არარეზიდენტი საწარმოები და ფიზიკური პირები.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1%-ის ოდენობით.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით.

დამატებითი ინფორმაცია ქონების გადასახადის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.rs.ge/PersonsTaxFAQ?cat=5&tab=1

4.2.2. შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმებს. სპეციალური, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;
ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე;
გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ✓ არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად;
- ✓ არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას (გარდა ოჯახის წევრისა);
- ✓ დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან, არ არის ვალდებული აწარმოოს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა, არ იხდის მიმდინარე საავანსო გადასახდელებს.

მიკრო ბიზნესის სტატუსთან დაკავშირებული დებულებები, აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი, საგადასახადო ანგარიშგების წესები და ვალდებულებები, სტატუსის გაუქმების დებულებები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rs.ge/PersonsPreferentialTax?cat=1&tab=1

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს. ამასთან, 500 000 ლარზე გადაჭარბების მიუხედავად, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი უნარჩუნდება 2 კალენდარული წლის განმავლობაში. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, მეწარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს იმავე წელს, სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით, მიმართოს საგადასახადო ორგანოს და კვლავ მიიღოს სტატუსი.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-ით. თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა, დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით. ამასთან, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს და დეკლარირებას განახორციელებს ყოველთვიური მარტივი დეკლარაციის ფორმის მეშვეობით.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება ხდება საგადასახადო ორგანოსთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვის საფუძველზე.

ფიზიკურ პირს მცირე ბიზნესის სტატუსი არ მიენიჭება, თუ იგი:

- ✓ არ წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს;
- ✓ ახორციელებს მცირე ბიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას;
- ✓ ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რაზეც საქართველოს მთავრობის დადგენილებით, განსაზღვრულია ფიქსირებული გადასახადი. მას სტატუსი არ მიენიჭება მხოლოდ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში.

მცირე ბიზნესის სტატუსთან დაკავშირებული დებულებები, საერთო წესით დასაბეგრი საქმიანობების ჩამონათვალი, საგადასახადო ანგარიშგების წესები და ვალდებულებები, მცირე ბიზნესის საქმიანობის ცვლილება და სტატუსის გაუქმების დებულებები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rs.ge/PersonsPreferentialTax?cat=2&tab=1

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ენიჭება ფიზიკურ პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ✓ რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ;
- ✓ არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი;
- ✓ ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას: აქვს თონე, სილამაზის სალონი ან ახორციელებს ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს.

პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართავს შემოსავლების სამსახურს და წარმოადგენს განაცხადს „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება (თონე, სილამაზის სალონი, ავტოტექმომსახურება)“. შემოსავლების სამსახური განიხილავს განცხადებას და თუ პირი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, გასცემს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის სერტიფიკატს.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება:

- ✓ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან,
- ✓ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის - ბუღალტერიის წარმოების ვალდებულებისაგან,
- ✓ საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

ცხრილი 4.2. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთები

დასაბეგრი საქმიანობა	დაბეგვრის ობიექტი	გადასახადის განაკვეთი
თონეში წარმოებული საქონლის მიწოდება ან/და გაწეული მომსახურება	თონე	50 ლარი (ერთ თონეზე)

თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის, შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის, მასაჟის (სამედიცინო მასაჟის გარდა), წარბების კორექციის, ეპილაციის (ლაზერული ეპილაციის გარდა), დეპილაციის, კოსმეტოლოგის მომსახურება	სამუშაო ადგილი (სკამი/მაგიდა/სავარძელი)	ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა/სავარძელი) – 50 ლარი
მანიკიურის და პედიკიურის მომსახურება	სამუშაო ადგილი (სკამი/მაგიდა)	სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა) - 30 ლარი
სოლარიუმის მომსახურება	სამუშაო ადგილი (სოლარიუმის კაბინა)	სამუშაო ადგილზე (სოლარიუმის კაბინა) 70 ლარი
ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, მათ შორის, სალტეების, საბურავების აღდგენა და რეგენერაცია, აღნიშნული მომსახურებისათვის განკუთვნილ ფართობზე გაწეული სხვა მომსახურება (ხალიჩების რეცხვა)	მომსახურების გასაწევად გამოყენებული სამუშაო ადგილი	1 ავტომობილის მომსახურებისათვის განკუთვნილი სამუშაოადგილი –100 ლარი;

წყარო: შემოსავლების სამსახური https://rs.ge/PersonsPreferentialTax?cat=3&tab=1

ინფორმაცია ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის პირობებზე, საქმიანობის შეჩერების და განახლების დებულებებზე და საქმიანობის წესის დარღვევისათვის გათვალისწინებულ ზომებზე ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rs.ge/PersonsPreferentialTax?cat=3&tab=1

ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი, თუ იგი ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას. ფიზიკური პირი ფიქსირებულ საშემოსავლო გადასახადზე გადასასვლელად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ნებაყოფლობით არ უნდა იყოს რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად;
- ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

4.2.3. საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისა და მაღალმთიანი დასახლების საწარმოსთვის
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/პროექტზე*
საქართველოს მასშტაბით	ტურიზმი	ტურიზმის სფეროში დასაქმებული/თვითდასაქმებული იურიდიული/ფიზიკური პირები	სასწავლო კურსების ჩატარება საქართველოს მასშტაბით	*საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია* *სანაპიროს #4* *+995 32 2436999* info@gnta.ge	იხ.ლინქი https://programs.gov.ge/ka/ტრენინგები და სასწავლო კურსები

პროექტი: ღვინის გზა					
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/ სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/ პროექტზე*
საქართველოს მასშტაბით	ღვინის ტურიზმის ობიექტების პოპულარიზაცია, მათი ხილვადობისა და ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	საოჯახო მარნები, ღვინის საწარმოები და მარნის ფუნქციის მქონე შატოები **<u>პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები</u>** ადგილზე ღვინის წარმოება, ღვინის დეგუსტაციის სერვისი, მოწესრიგებული სადეგუსტაციო სივრცე, შესაბამისი ჭურჭელი, მარანი, ეზო და სველი წერტილები	პროექტის ბენეფიციართა ობიექტების და მომსახურების ცნობადობის ამაღლება; ტურისტული ობიექტების მიგნების გამარტივება; მანიშნებლების მონტაჟი	*<u>საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია</u>* *სანაპიროს #4* *<u>+995 32 2436999</u>* <u>info@gnta.ge</u>	იხ.ლინქი <u>https://programs.gov.ge/ka/პროექტი ღვინის გზა</u>
! **პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადების მიღება ხორციელდება უწვეტ რეჟიმში.** პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა მეწარმეებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: განმცხადებლის ელექტრონული პირადობის მოწმობა; ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი					

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

პროფესიული გადამზადებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემების დანერგვის პროექტი საქართველოს სოფლის მეურნეობაში					
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/ სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/ პროექტზე*
საქართველოს მასშტაბით 2018 - 2022	პროფესიული გადამზადება; პროფესიული სწავლების სტანდარტების დანერგვა; ახალი სასწავლო მოდულების მომზადება	მასწავლებლები, კონსულტანტები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები	ტექნიკური დახმარება ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვისათვის და სწავლების სტანდარტების გაუმჯობესების ათვის	*გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)* *მცხეთის ქუჩა #7, თბილისი* *+995 32 2250106* konstantine.kobakhidze@undp.org	იხ.ლინქი https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/vocational-education-and-training-in-agriculture.html

კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში					
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/ სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/ პროექტზე*
საქართველოს მასშტაბით 2017 - 2023	მეღვინეობა, ტურიზმი, მშენებლობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ტანსაცმლის წარმოება	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები; ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები; კომპანიები; სამთავრობო ინსტიტუტები	ტექნიკური დახმარება ხარისხის მართვის, დუალური ტრეინინგ კურსების შემუშავების და კერძო სექტორთან თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით	*გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)* *კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში* *რუსთაველის გამზირი #42/გრიბოედოვის 31ა თბილისი* *+995 32 2201833* *giz-georgia@giz.de*	იხ.ლინქი https://www.giz.de/en/worldwide/20324.html

ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის					
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/ სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/ პროექტზე*
თბილისი, აჭარა, იმერეთი, გურია, კახეთი, ქართლი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი 2019 - 2023	Skills4Jobs პროგრამის მეორე ფაზის ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტი დასაქმება, მეწარმეობა	სამინისტროები და მათი სააგენტოები, ასევე ადგილობრივი თემები	ტექნიკური დახმარება მეწარმეობის განათლების პოლიტიკის განსაზღვრის, პროფესიულ სწავლებაში ჩართული ადამიანების რაოდენობის გაზრდის, ახალგაზრდებისათვის კარიერის დაგეგმვის სერვისების და არაფორმალური ტრეინინგ-კურსების მიწოდების მიმართულებით	*ევროკავშირი საქართველოსთვის*	იხ.ლინქი https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project https://www.facebook.com/Skills4jobsTA/

პროექტი: უნარები წარმატებისათვის					
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/ სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/ პროექტზე*
თბილისი, კახეთი, შიდა ქართლი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი **2020-2023**	ახალგაზრდების დასაქმება და სოციალური ჩართულობა	სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები; საჯარო ინსტიტუტები	ტექნიკური დახმარება ახალგაზრდებისათვის ახალი სერვისების დაფუძნების, ბაზარზე ორიენტირებული უნარ-ჩვევების მიწოდების და შესაბამისი კონსულტაციის უზრუნველყოფის მიზნით	Save the Children Netherland; Youth Worker's Association of Georgia *+995 32 2244521*	იხ.ლინქი https://www.facebook.com/savethechildrengeorgia/about/ https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=1398

პროექტი: სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისათვის					
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/ სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/ პროექტზე*
იმერეთი, გურია, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, შიდა ქართლი 2020 - 2023	ტურიზმისა და საზღვაო სექტორის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა–მიწოდების დისბალანსის დაძლევა	საზღვაო და ტურიზმის სექტორის საწარმოები; სამიზნე რეგიონების მაცხოვრებლები	უწყვეტი კარიერული ორიენტაციისა და დასაქმების სერვისების განვითარების და ხელმისაწვდომობის ზრდა; კერძო–საჯარო პარტნიორობის გაზრდა საზღვაო და ტურიზმის სექტორებში	განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო; თელავის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი *ინგორიყვას #64 ქუთაისი* *995 (0431) 25 1330* info@edec.ge	იხ.ლინქი Education Development and Employment Center - Home | Facebook https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=1397

პროექტი: უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისათვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისათვის					
გეოგრაფიული დაფარვა/განხორციელების პერიოდი	*მიმართულება/ სექტორი*	*სამიზნე ჯგუფი*	*ინსტრუმენტები*	*განმახორციელებელი ორგანიზაცია*	*დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე/ პროექტზე*
გურია, აჭარა, სამეგრელო 2020 - 2023	მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებობების გაუმჯობესება	სამიზნე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები; ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; საკონსულტაციო ორგანიზაციები	ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების განხორციელება; დასაქმების შესაძლებლობების შექმნა არსებული ბიზნესის გაძლიერებისა და სტარტაპების დაფინანსების გზით; საჭირო უნარ-ჩვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტიზაცია	<u>გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი</u> *რუსთაველის #4 ოზურგეთი* <u>995 (496) 27 41 26</u> <u>gyrc.info@gmail.com</u>	იხ.ლინქი <u>https://www.facebook.com/ici.org.ge/</u> <u>https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=1395</u>

ნაწილი 6. განათლების სისტემა

საქართველოს განათლების სისტემა შედგება 4 ქვესისტემისაგან:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება
- ზოგადი განათლება
- პროფესიული განათლება
- უმაღლესი განათლება

ასაკობრივ ჭრილში საქართველოს განათლების სისტემა ილუსტრირებულია სქემაზე:

სქემა 6.1. საქართველოს განათლების სისტემა ასაკობრივ ჭრილში



წყარო: განათლების ხარისხის და განვითარების ეროვნული ცენტრი

6.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში ***მუნიციპალიტეტებს აქვთ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები და ვალდებულებები.*** კერძოდ, მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ:

- სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება;
- თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების პროცესში ბავშვისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
- დაწესებულების პროგრამაში ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის შემუშავება და მისი ფუნქციონირება;
- საჯარო დაწესებულების საჭიროებების გათვალისწინებით წლიური მუნიციპალური პროგრამისა და ფინანსური გეგმის მომზადება.

ქვემოთ მოცემულ სქემაში ასახულია სკოლამდელი აღზრდის სისტემის საფეხურები და შესაბამისი სტანდარტები ბავშვის ასაკის მიხედვით:

სქემა 6.2. სკოლამდელი აღზრდის სისტემის საფეხურები და შესაბამისი სტანდარტები

ასაკი (წელი)	0 - 2	2 - 5		5 - 6	
სახელმწიფო სტანდარტი	ადრეული განვითარების სტანდარტი	ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი		სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი	
მაკონტროლებელი	მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტი		მუნიციპალიტეტი	
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	კერძო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო
საფასური ბენეფიციარისთვის	ფასიანი	ფასიანი	უფასო	ფასიანი	უფასო

წყარო: განათლების ხარისხის და განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდა და განათლება არის დაბადებიდან 2 წლამდე (ადრეული) ასაკის ბავშვისთვის და მისი მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის მიწოდებული მომსახურება, რომელიც მოიცავს: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლებასა და მხარდაჭერას, აღნიშნული ასაკის ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰიგიენისა და სანიტარიული უსაფრთხოების, ბავშვთა ადრეული ინტერვენციისა და

ინკლუზიური განათლების მომსახურებებს. მისი შეთავაზება ხდება კერძო დაწესებულებების მიერ და მუნიციპალიტეტები ასეთი სახის სერვისს არ სთავაზობენ.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტი ითვალისწინებს 2-5 წლის ასაკის ბავშვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებას.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტი გულისხმობს 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის სასკოლო მზაობის პროგრამის შეთავაზებას. ამასთან, სასკოლო მზაობის პროგრამა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტია.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი) შეიძლება იყოს მუნიციპალური ან კერძო. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია აღნიშნული დაწესებულება დააფუძნოს მხოლოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, კერძო კი შეიძლება დაფუძნდეს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების განსახორციელებლად დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი) ***ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია.*** დაწესებულების ავტორიზაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის/გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. დაწესებულების ავტორიზაცია უფასოა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალურ დაწესებულებებში (საბავშვო ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი) ბავშვების მიღების წესებსა და პირობებს ადგენს მუნიციპალიტეტი ან/და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო კერძო დაწესებულებებში - ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით.

თბილისსა და სხვა დიდ ქალაქში საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში ჩარიცხვა ელექტრონული რეგისტრაციის ფორმით ხორციელდება. რეგისტრაციის წესები და პროცედურები ყოველწლიურად მტკიცდება შესაბამისი ნორმატიული აქტით და საჯაროა. ბავშვთა ელექტრონული რეგისტრაცია, როგორც წესი, მიმდინარეობს სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე (მარტ-აპრილში).

დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონკრეტული მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სააგენტოში/გაერთიანებაში.

- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო - www.kids.org.ge
- ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება - www.batumikids.ge
- ა(ა)იპ ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება - fb/ ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება
- ა(ა)იპ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება - www.rustavikids.ge

საჯარო/მუნიციპალური საბავშვო ბაგა-ბაღების გარდა დიდ ქალაქებში ფუნქციონირებენ კერძო საბავშვო ბაგა-ბაღები.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების რაოდენობა იმერეთის, გურიისა და კახეთის რეგიონებში წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი 6.1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა იმერეთის, გურიისა და კახეთის მუნიციპალიტეტებში

იმერეთის მუნიციპალიტეტები		გურიის მუნიციპალიტეტები		კახეთის მუნიციპალიტეტები	
ქუთაისი	37	ლანჩხუთი	21	ახმეტა	36
ტყიბული	17	ოზურგეთი	44	გურჯაანი	37
წყალტუბო	23	ჩოხატაური	20	დედოფლისწყარო	17
ჭიათურა	28			თელავი	32
ბაღდათი	16			ლაგოდეხი	31
ვანი	25			საგარეჯო	29
ზესტაფონი	41			სიღნაღი	24
თერჯოლა	26			ყვარელი	25
სამტრედია	24				
საჩხერე	21				
ხარაგაული	22				
ხონი	20				
სულ	**300**		**85**		**231**

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [მონაცემები საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ მუნიციპალიტეტების მიხედვით.]

6.2. ზოგადი განათლება

ქვეყანაში ფუნქციონირებს ზოგადი განათლების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ უფლებას ყველასათვის.

საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ საფეხურს:

I. დაწყებითი განათლება (1-6 კლასები);

II. საბაზო განათლება (7-9 კლასები);

III. საშუალო განათლება (10-12 კლასები).

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ***მინიმალური ასაკია 6 წელი.***

დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა.

სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ მის დადასტურებას.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის

განმავლობაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში (საჯარო, კერძო) სწავლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით.

სახელმწიფო სწავლისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს იმ სკოლაში, რომელიც ახორციელებს დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო ზოგად საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძო და საჯარო სკოლაში სწავლებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით ***სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია,*** ან თუ იგი წარმოადგენს ახალდაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

აკრედიტაციის გავლა სავალდებულოა ყველა ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. სახელმწიფო ცნობს მხოლოდ აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული ან აფხაზური. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.

შე ზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის, აგრეთვე იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებათ, განათლების სისტემის მართვის ორგანოები ქმნიან სპეციალურ და კორექციულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესაბამისად ხორციელდება მათი აღზრდა, სწავლება, მკურნალობა, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია (ინკლუზიური სწავლება). ასეთ მოსწავლეთა დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნატის ფორმითაც. ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის , ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას. ექსტერნატის ფორმით მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. *ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესებსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (იხ. [მინისტრის ბრძანება №18/ნ](#))*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველ კლასში ჩარიცხვა ხორციელდება ელექტრონული რეგისტრაციის წესით. როგორც წესი, რეგისტრაცია იწყება მოცემული წლის მარტის თვეში და ხორციელდება ოთხ ეტაპად. რეგისტრაციის პირობებსა და წესებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. რეგისტრაციის წესებსა და პროცედურებზე დეტალური ინფორმაცია იხ. აქ: http://mes.gov.ge/uploads/pirvelklaselta%20registracia.pdf

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა „ზოგადი საბაზო განათლების ატესტატი, ხოლო სრული ზოგადი განათლების საფეხურის დასრულებისას „სრული ზოგადი განათლების ატესტატი“.

სქემა 6.3. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა

მოსწავლის სავარაუდო ასაკი	დაწყებითი საფეხური 6 - 12		საბაზო საფეხური 12 - 15		საშუალო საფეხური 15 - 18	
ხანგრძლივობა (წელი)	6		3		3	
სავალდებულოობა	✓		✓		✗	
ავტორიზაცია (ხარისხის უზრუნველყოფა)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი		განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი		განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	
დამამთავრებელი დოკუმენტი	არ გაიცემა		საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი		სრული ზოგადი განათლების ატესტატი	
სწავლის გაგრძელება	საბაზო საფეხურზე		საშუალო საფეხურზე; პროფესიულ პროგრამებზე		უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე; მოკლე ციკლის პროგრამებზე; პროფესიულ პროგრამებზე	
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო
ეროვნული სასწავლო გეგმა	✓	✓	✓	✓	✓	✓
ალტერნატიული პროგრამის შესაძლებლობა		✓		✓		✓
სახელმწიფო ვაუჩერი	✓	✓	✓	✓	✓	✓
დამატებითი საფასური ბენეფიციარისთვის	✗	✓	✗	✓	✗	✓

წყარო: განათლების ხარისხის და განვითარების ეროვნული ცენტრი

ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესახებ იხილეთ ბმულზე:

https://emis.ge/Saganmanatleblo_dacesebulebebi_da_programebi/zogadsaganamanatleblo/

6.3. პროფესიული განათლება

საქართველოში პროფესიული განათლების მიღება ნებაყოფლობითია. პროფესიული სწავლების პროგრამების განხორციელების უფლება აქვთ საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს/კოლეჯებს, უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე პროფესიული მომზადება-გადამზადების განმახორციელებელ იურიდიულ პირებს.

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნებზეა ორიენტირებული. აქცენტი კეთდება პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. შესაბამისი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს, ან სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე.

პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად:

- *I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;*
- *II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;*
- *III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;*
- *IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;*
- *V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.*

პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პროფესიული განათლების სფეროში მოქმედებს სამი სახის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:

- ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი;
- ავტორიზებული კერძო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯი.

საქართველოში პროფესიული განათლება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებით.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახეებია:</u>

- ***საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,*** რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე საბაზო (9 კლასი) ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.
- ***საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,*** რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა. ამასთან, პირს, რომელიც ფლობს სულ მცირე საბაზო (9 კლასი) ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, შეუძლია ჩაირიცხოს ისეთ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც

ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (ე.წ. ***ინტეგრირებული პროგრამა***). აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

- ***უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,*** რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს სულ მცირე სრული ზოგადი (12 კლასი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ფლობა.

<u>პროფესიული მომზადების პროგრამა</u> პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად.

<u>პროფესიული გადამზადების პროგრამის</u> მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად.

პროგრამებზე სწავლება ძირითადად პრაქტიკულია და მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამის ბიზნეს ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამასთან, ზოგიერთი პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული, ე.წ. ***დუალური მიდგომით***: საგანმანათლებლო დაწესებულება და კომპანია ინაწილებენ პასუხისმგებლობას სტუდენტის მომზადებაზე და პროგრამის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში - კომპანიაში.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად აცხადებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში ***სწავლის მსურველთა რეგისტრაციას*** *(პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის <u>ბრძანებით</u>)*

პროფესიული განათლების მიღების მსურველს რეგისტრაციის გავლა შეუძლია საქართველოს მასშტაბით მოქმედ <u>საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა</u> და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ იმ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, რომლებსაც გამოცხადებული აქვთ მიღება. ასევე, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს დარეგისტრირდეს ონლაინ შემდეგ ვებგვერდზე - <u>vet.emis.ge</u>

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსებით ჩარიცხვის მიზნით, საჭიროა რეგისტრაცია და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული ეტაპის/ების გავლა:

- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება;
- დამსაქმებლის მიერ ორგანიზებული კონკურსი (სამუშაოზე დაფუძნებულ/დუალურ პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვებისთვის);
- მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული შიდა კონკურსი/შერჩევა.

დამატებითი ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ ხელმისაწვდომია <u>ბმულზე</u>.

ინფორმაცია პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე.

6.3.1. პროფესიული განათლების დაფინანსება

პროფესიული განათლების დაფინანსების სახეებია:

- ვაუჩერული დაფინანსება;
- მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება;
- პროგრამული დაფინანსება;
- მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება.

ვაუჩერული და მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ვაუჩერული დაფინანსების მოპოვება შეუძლიათ პირებს, რომლებმაც:

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების დროს გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ჯამური ქულის 25% მეტი);
- წარმატებით გაიარეს დუალურ/სამუშაოზე დაფუძნებულ პროგრამებზე დამსაქმებლის მიერ ორგანიზებული კონკურსი;
- წარმატებით გაიარეს დაწესებულების მიერ ორგანიზებული შიდა კონკურსი/შერჩევა;

დაფინანსების მოპოვება ასევე შეუძლიათ ალტერნატიული ტესტირების საფუძველზე ჩარიცხულ ***სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს.***

სახელმწიფო დაფინანსება ვრცელდება სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში ან კერძო იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებულ დაწესებულებებში, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული დარგების ფარგლებში.

პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები. პროგრამული დაფინანსება გაიცემა საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების

ფარგლებში დასასაქმებელი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისათვის, ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებისათვის და სხვა მიმდინარე ხარჯებისათვის.

მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირები. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება გაიცემა შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს პროგრამის მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და განხორციელების ვადა, ასევე გაწერილი უნდა იყოს კვარტალური ბიუჯეტი. *დამატებითი ინფორმაცია პროფესიული განათლების დაფინანსების შესახებ ხელმისაწვდომია* [ბმულზე.]

[იმერეთში, გურიასა და კახეთში მოქმედი პროფესიული განათლების ინსტიტუტები]

ცხრილი 6.2. იმერეთის რეგიონში მოქმედი პროფესიული განათლების დაწესებულებები

ქალაქი	პროფესიული განათლების დაწესებულება	მისამართი	პროგრამები	კერძო / საჯარო	ვებ-გვერდი
ზესტაფონი	სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2	ნიკო ნიკოლაძის 28	• საბათქაშე სამუშაოების წარმოება; • სახურავის მოწყობა; • საკალატოზო სამუშაოების შესრულება; • არმატურისა და ბეტონის ნაკეთობების დამზადება; • ქარგილების, კარ-ფანჯრებისა და იატაკის მოწყობა; • ელექტრო-რკალური შედუღება; • ზედაპირების ფილებით მოპირკეთება; • თაბაშირ-მუყაოს ფილებით სამონტაჟო სამუშაოების შესრულება; • წყალსადენი სისტემების მონტაჟი; • ელექტროსამინტაჟო სამუშაოები; • ზედაპირებზე სამღებრო სამუშაოების შესრულება; • შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ტექნოლოგიები	საჯარო	https://construct2.ge/

ტყიბული	ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი	კ. ლომაძის მოედანი 4	• სამთო ტექნიკოსი; • მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი; • სამთო ელექტრომექანიკოსი; • მებათქაშე; • მღებავი	საჯარო	gtu.ge
ხონი	ხონის სათემო განვითარების ცენტრი		• უცხო ენები • შედუღება • გიდის მომზადება • კომპიუტერული პროგრამები • ოფისის მენეჯმენტი • ბუღალტერია • ჭრა-კერვა • ხეზე ჭრა • კულინარია • ავეჯის დამზადება	დაფინანსებულია DVV International	
ზესტაფონი	მრავალპროფილური სასწავლო ცენტრი ,, გორგასალი 2008“,		• ფარმაცია • მედდის საქმე • კბილის ტექნიკოსი • ტანსაცმლის კერვა-მოდელირება • სკოლამდელი აღზრდა	კერძო	593649772
ბაღდათი	სსიპ კოლეჯი "იბერია"		• მეხილეობა (დუალური) • მეჩაიეობა (დუალური)	საჯარო	www.iberia.edu.ge
ქუთაისი	სსიპ კოლეჯი "იბერია"	ნიკეას 12	• სარესტორნო მომსახურება; • ელექტროობა; • კულინარიის ხელოვნება; • საინფორმაციო ტექნოლოგიები; • კომპიუტერული ქსელი და სისტემები; • ბუღალტრული აღრიცხვა; • მეხილეობა-მეჩაიეობა • თმის მომსახურეობა • სამკერვალო საქმე • სასტუმროს მომსახურება • ხის მხატვრული დამუშავება	საჯარო	www.iberia.edu.ge
ქუთაისი	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თამარ მეფის 59	• ბიბლიოთეკარი; • ბუღალტრული აღრიცხვა; • ელექტრობა; • მხატვრული ქსოვილები; • მსუბუქი ავტომობილის შეკეთება; • საბაჟო საქმე; • საოფისე საქმე; • საფინანსო სერვისები; • სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა;	საჯარო	https://atsu.edu.ge/index.php/programs-prof

			• საავტომობილო გზების მშენებლობა; • ფეხსაცმლის და ტყავის ნაკეთობათა წარმოება; • ავეჯის კონსტრუირება; • სისტემების ადმინისტრატორი; • სარეკლამო აგენტი; • ბაგა ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი		
სამტრედია	ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი *(2022 წლის თებერვლის მონაცემებით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები)*	დიდი ჯიხაიში, ნ.ნიკოლაძის 126	• სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი; • მელიორატორი; • ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი; • ტრაქტორისტ-მემანქანე; • აგრარული ტექნიკის მექანიკოსი;	საჯარო	ast.gtu.ge 574 02 03 01
ქუთაისი	პროფესიული სწავლების და ტრენინგების ცენტრი	ნიკეას 11 ა	• დაიწყე და სრულყავი შენი ბიზნესი; • პირველადი სამედიცინო დახმარება; • უვნებელი სურსათის მისაწოდებლად HACCP – პრინციპები, ინტერპრეტაცია და გამოყენება; • სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესები (GMP/GHP); • სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა ფერმერულ მეურნეობაში; • ბიოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოება; • მენეჯმენტი და მარკეტინგი სასოფლო სამეურნეო სექტორში; • „ბიოჰუმუსი"–ის წარმოება და მისი გამოყენება სასოფლო სამეურნეო სექტორში;	კერძო	www.vetc.info
საჩხერე	ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია	გომართელის ქ. N 10		კერძო	https://www.bta.edu.ge/bta_new 593 30 32 11; 574 00 80 80;

ქუთაისი	საზოგადოებრივი კოლეჯი "ელიტი"	გრიშაშვილის 7		კერძო	https://www.facebook.com/www.eliti.ge/
ქუთაისი	საზოგადოებრივი კოლეჯი "მედიკ-ფორტე"	ზვიად გამსახურდიას 34	• საექთნო საქმე; • ექთნის თანაშემწე • ფარმაცევტის თანაშემწე • სამკურნალო მასაჟი • ოფისის მენეჯერი; • ბუღალტერი- მოანგარიშე	კერძო	https://medic-forte.ge/
ქუთაისი	ქუთაისის სამედიცინო სკოლა	მალხაზ დვალიშვილის 13	• პრაქტიკოსი ექთანი; • ფარმაცევტის თანაშემწე	კერძო	www.kms.edu.ge
წყალტუბო	აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯი	წერეთლის 4	• მასაჟისტი • ფიზიოთერაპია	კერძო	599 236479
ჭიათურა	"პროფიუნიტი"	თხელიძის 29	• სამთო ტექნიკოსი; • სამთო ელექტრომექანიკოსი; • მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	კერძო	profiuniti. edu.ge
საჩხერე	ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია	გომართელის 10	• შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიები; • საბაჟო საქმე; • საოფისე საქმე; • მშენებლობის წარმოება; • საინფორმაციო ტექნოლოგიები; • ბუღალტრული აღრიცხვა; • ელექტროობა; • ვეტექნოლოგიები; • აღმზრდელი; • საექთნო საქმე;	კერძო	bta.edu.ge
ქუთაისი	სიო	გ. ტაბიძის 72	• საექთნო საქმე • შინმოვლის საქმე	კერძო	www.sio.ge
სამტრედია	შპს "ცოდნა"	კრავეიშვილის 1	• ბუღალტრული აღრიცხვა; ფარმაცევტის თანაშემწე	კერძო	tsodna.edu.ge
ქუთაისი	განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი	ინგოროყვას 64	• ლურჯი მოცვის აგროკონსულტანტი;	კერძო	edec.ge

წყარო: www.vet.ge , პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდები

გურიის რეგიონში მხოლოდ 1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებს, ქალაქ ოზურგეთში.

ცხრილი 6.3. გურიის რეგიონში მოქმედი პროფესიული განათლების დაწესებულებები

ქალაქი	პროფესიული განათლების საწესებულება	მისამართი	პროგრამები	კერძო/ საჯარო	ვებ-გვერდი
ოზურგეთი	კოლეჯი "ჰორიზონტი"	რუსთაველის 8	• ბუღალტრული აღრიცხვა; • სკოლამდელი აღზრდა; • კომპიუტერული ქსელი და სისტემები; • ელექტროობა; • სარესტორნო მომსახურება; • საინფორმაციო ტექნოლოგიები; • სამკერვალო წარმოება; • თმის მომსახურება; • კულინარიის ხელოვნება	საჯარო	horizonti.ge

წყარო: vet.ge, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი

ცხრილი 6.4. კახეთის რეგიონში მოქმედი პროფესიული განათლების დაწესებულებები

ქალაქი	პროფესიული განათლების დაწესებულება	მისამართი	პროგრამები	კერძო / საჯარო	ვებ-გვერდი
თელავი	კოლეჯი "პრესტიჟი"	უნივერსიტეტის 1	• საინფორმაციო ტექნოლოგიები; • საოფისე საქმე; • სასტუმრო მომსახურება; • კულინარიის ხელოვნება; • კონდიტერია; • მევენახეობა-მეღვინეობა; • კომპიუტერული ქსელი და სისტემები; • ელექტროობა; • თმის მომსახურება; • სატყეო საქმე; • მხატვრული ქსოვა	საჯარო	http://vetprestige.ge/
გურჯაანი	კოლეჯი "აისი"	სოფ. კაჭრეთი	• ბუღალტრული აღრიცხვა; • ელექტროობა; • ვეტერინარია; • თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი; • თექის ოსტატი; • თმის სტილისტი; თმისა და სილამაზის მომსახურება; • იატაკისა და ფილის სამუშაოები; • ინფორმაციის ტექნოლოგია; • კულინარიის ხელოვნება;	საჯარო	www.collegeaisi.ge

			• მევენახეობა-მეღვინეობა; • მეთევზეობა (ფერმერობა მეთევზეობაში); • მეფუტკრე; • მეხილეობა; • მომინანქრე; • პრაქტიკოსი ექთანი; • საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი; • სატყეო საქმე; • ტუროპერატორი; • ფარმაცევტის თანაშემწე; • ფილამწყობი; • ქვის სამუშაოების წარმოება; • ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება; • ხის მხატვრული დამუშავება		
თელავი	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის 1	• ბაგა-ბაღის აღზრდელი-პედაგოგი; • დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი; • თექის ოსტატი	საჯარო	http://www.tesau.edu.ge/profesiuli-ganatleba1
ლაგოდეხი	შემეცნებითი ცენტრი „გეა“ *2022 სექტემბრიდან აპირებენ მუშაობის განახლებას*	სოფ. ფონა		კერძო	599907547
საგარეჯო	ფერმერთა სკოლა	სოფ. წინოწმინდა	• ფუტკრის პროდუქტების მიღება; • ხეხილის სხვლა-ფორმირება; • ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოება	კერძო	www.farmersschool.ge
საგარეჯო	ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი	ლეონიძის 33ა	• საოფისე საქმე; • ფარმაცია; • საინფორმაციო ტექნოლოგიები; • ბუღალტრული აღრიცხვა; • აღმზრდელი;	კერძო	http://iliaedu.ge/
გურჯაანი	გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +"	გურამიშვილის 31	• მასაჟისტი; • ექთნის თანაშემწე; • პრაქტიკოსი ექთანი; • ბუღალტერი	კერძო	www.college-plus.edu.ge

წყარო: www.vet.ge , პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდები

პროფესიულ განათლებაზე დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე.

6.4. უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების საფეხურები:

ბაკალავრიატი	შედგება არანაკლებ **240 კრედიტისგან**. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.
მაგისტრატურა	მოიცავს არანაკლებ **120 კრედიტს**. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
დოქტურანტურა	შედგება არანაკლებ **180 კრედიტისაგან**. დოქტურანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

უმაღლესი განათლების სფეროში, საქართველოში ფუნქციონირებს სამი სახის საგანმანათლებლო დაწესებულება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი	**აღწერა**
უნივერსიტეტი	ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანამნათლებლო პროგრამას და სამეცნიერო კვლევას
სასწავლო უნივერსიტეტი	ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, გარდა დოქტურანტურისა
კოლეჯი	ახორციელებს მხოლოდ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამებს

წყარო: mes.gov.ge

იმერეთის რეგიონში მოქმედებს 3 უმაღლესი სასწავლებელი და ყველა მათგანი ქ. ქუთაისში მდებარეობს.

ცხრილი 5.4. იმერეთის რეგიონში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	**ფაკულტეტები/პროგრამები**	**ვებ-გვერდი**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; პედაგოგიური; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა; მედიცინის; საინჟინრო; აგრარული; საზღვაო-სატრანსპორტო	https://atsu.edu.ge/
ქუთაისის უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის; მედიცინის	https://www.unik.edu.ge/
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მენეჯმენტი; მათემატიკა; კომპიუტერული მეცნიერებები	https://www.kiu.edu.ge/

წყარო: mes.gov.ge; უნივერსიტეტების ვებ-გვერდები

კახეთის რეგიონში მოქმედებს ერთი უმაღლესი სასწავლებელი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ცხრილი 5.5. კახეთის რეგიონში მოქმედი უმაღლესი სასწავლებელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	ფაკულტეტები/პროგრამები	ვებ-გვერდი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; აგრარულ მეცნიერებათა; განათლების მეცნიერებათა; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის	http://tesau.edu.ge/

წყარო: mes.gov.ge; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

6.4.1. სახელმწიფო სასწავლო გრანტები

სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება:

- *ბაკალავრიატში სწავლა* 4 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, – 5 წლის განმავლობაში);
- *დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით* სწავლა არა უმეტეს 6 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომირებული მედიკოსის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, – 7 წლის განმავლობაში);
- *დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით* სწავლა არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომირებული სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, – 6 წლის განმავლობაში);
- *მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით* სწავლა არა უმეტეს 1 წლის განმავლობაში;
- *მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო* 300-კრედიტიან პროგრამაზე სწავლა – არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 6 წლის განმავლობაში);
- *ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო 300-კრედიტიან პროგრამაზე* სწავლა – არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – არაუმეტეს 6 წლის განმავლობაში).
- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით ფინანსდება *მაგისტრატურაში სწავლა* 2 წლის განმავლობაში.

2021-2022 სასწავლო წელს **ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე** გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა:

- სრული ოდენობა - **2 250 ლარი.**
- სრული ოდენობის 70% - არაუმეტეს **1575 ლარისა;**
- სრული ოდენობის 50% - არაუმეტეს **1125 ლარისა**

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით განსაზღვროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები სახელმწიფო სასწავლო გრანტების დაფინანსების წლიური მოცულობის არანაკლებ 6%-ისა და არაუმეტეს 20%-ისა.

გრანტების გაცემის წესი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი [ბრძანებით.](#) ასევე, იხ. მთავრობის დადგენილება [2021-2022 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ.](#)

დამატებითი ინფორმაცია უმაღლესი განათლების შესახებ იხილეთ [ბმულზე.](#)

6.5. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება მოიცავს:

- უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებას;
- პროფესიული განათლების აღიარებას;
- აკადემიური კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებას.

აღიარებას არ ექვემდებარება:

- სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღი).
- რეზიდენტურაში მიღებული განათლება.
- საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისგან მიღებული თანხმობით განხორციელებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - *[განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი .](#)*

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამოწმებს გაცემულია თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში, და არის თუ არა დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას (ნამდვილობის

დადასტურება) და ადგენს საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობას.

ცენტრში წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბმულზე.

ჩანართი 4.

2020 წლის 6 თებერვლიდან, განმცხადებლებს ეძლევათ საშუალება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ფიზიკური პირებისათვის განკუთვნილ სერვისებზე მომართვა განახორციელონ ელექტრონული ფორმით, ცენტრში მოუსვლელად, პორტალ www.my.gov.ge -ის მეშვეობით. პორტალი საშუალებას იძლევა სახლიდან გაუსვლელად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც ფლობენ ახალ პირადობის მოწმობას და მის წამკითხველ მოწყობილობას, ასევე ელექტრონულ ხელმოწერას, ცენტრის სერვისებით სარგებლობის თაობაზე განაცხადი გააკეთონ ელექტრონულად და პასუხიც მიიღონ ელექტრონული ფორმით. პორტალზე ავტორიზაციისათვის ინსტრუქცია ხელმისაწვდომია ლინკზე: https://id.ge/download/

ელექტრონული მომსახურების ფორმა ეხება შემდეგ სერვისებს:

- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება;
- დევნილის მიერ მიღებული განათლების აღიარება;
- ლიკვიდირებულ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება;
- ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება;
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.

ნაწილი 7. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები და სერვისები

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანია მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა, გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურების უზრუნველყოფა, დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისთვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა.

საქართველოში მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა და მიზნობრივი პროგრამები.

7.1. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა 2013 წლის 28 თებერვლიდან. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ***ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე*** საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ფინანსური უზრუნველყოფა. პროგრამით განსაზღვრულია როგორც ამ პროგრამით მოსარგებლე პირების კატეგორიები, ისე სამედიცინო მომსახურებები, რომელთა მიღება შეუძლიათ პროგრამით მოსარგებლე კონრეტულ კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://nha.gov.ge/ge/c/102 . აქვე მითითებულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურების მისაღებად რეგისტრაციის პირობები და ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების შესახებ.

პროგრამის მოსარგებლეს უფლება აქვს თავად აირჩიოს სამკურნალო დაწესებულება საქართველოს მასშტაბით.

დეტალური ინფორმაცია პროგრამით მოსარგებლეების, მომსახურების მისაღებად მოსახლეობის რეგისტრაციის, ანაზღაურებადი სამედიცინო მომსახურებების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია ასევე გარკვეული კატეგორიის ავადმყოფების ***მედიკამენტებით უზრუნველყოფა.*** განსაზღვრულია იმ პირთა კატეგორიები, ვისაც შეუძლია მიიღოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტები. ესენია:

- პირი, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს;
- მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან);

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი (შშმ ბავშვი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი),
- ვეტერანი;
- პარკინსონით დაავადებული საქართველოს მოქალაქე;
- ეპილეფსიით დაავადებული საქართველოს მოქალაქე;
- გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, დუშეთის, ონის, საჩხერის, ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა.

<u>შენიშვნა:</u> *0-5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გათვალისწინებულია ანტიბაქტერიული სამკურნალო საშუალებები.*

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფას:

- გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები;
- ფილტვის ქრონიკული დაავადებები;
- დიაბეტი (ტიპი II);
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები;
- ეპილეფსია;
- პარკინსონის დაავადება.

პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების ***წლიური ლიმიტი,*** პროგრამით გათვალისწინებული დაავადებების შესაბამისად, შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://nha.gov.ge/ge/c/medicines

7.2. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიზნობრივი პროგრამები

საქართველოს მთავრობის მიერ ყოველწლიურად მტკიცდება ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამები. 2022 წლის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებზე ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი 7.1. ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები

მიზნობრივი პროგრამა	პროგრამის მოკლე აღწერა	პროგრამის ბენეფიციარები
დიაბეტის მართვა	შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების ამბულატორიული მეთვალყურეობის გაუმჯობესება, შესაძლო გართულებების პრევენცია და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.	• 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვები, • 18 წელს გადაცილებულ საქართველოს მოქალაქე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (უსინათლოები), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი, დაუნის სინდრომი ან დუშენ-ერბის დაავადება; • *სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულ საქართველოს მოქალაქეებს.*
C ჰეპატიტის ელიმინაცია	საქართველოში C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით	• საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები; • პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულები /მსჯავრდებულები; • „აივ ინფექცია/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ HCV კოინფექციის მქონე ბენეფიციარები; • პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები; • „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის“ თირკმლის ტერმინალური დაავადების მქონე ბენეფიციარები; • ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ერთეულს; • ვეტერანები.

აივ-ინფექცია/შიდსის მართვა	აივ-ინფექცია/შიდსის ახალი შემთხვევების დროულად გამოვლენა; გავრცელების შეფერხება; დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	• საქართველოს მოქალაქეები; • ამასთან, მკურნალობისათვის საჭირო სპეციფიკური ანტირეტროვირუსული მედიკამენტების მოსარგებლეები ამ მუხლში მითითებულ პირებთან ერთად შეიძლება იყვნენ: • საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე აღნიშნული სტატუსის მაძიებელი პირები, შესაბამისი სტატუსის მოპოვებამდე საჭირო პროცედურების განხორციელების ეტაპზე; • საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე სტუდენტის სტატუსის მფლობელები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; • საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პრობაციონერები (სანამ მოეხსნებათ პრობაცია და დატოვებენ ქვეყანას); • საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ მისიებში დასაქმებული პირები; • საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კორონავირუსით ინფიცირებული პირები, მოქალაქეობის მიუხედავად; • აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობა მოქალაქეობის მიუხედავად. • პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად; • მაღალი რისკის ჯგუფებში 15-ნიშნა დაშიფრული კოდით იდენტიფიცირებული პირები.

ფსიქიკური ჯანმრთელობა	ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მოსახლეობისათვის	• საქართველოს მოქალაქეები; • იძულებითი ან არანებაყოფლობითი სტაციონარული მომსახურების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები ან პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად; • სტაციონარული მომსახურების მოსარგებლეები, რომლებსაც ესაჭიროებათ არანებაყოფლობითი მომსახურება, არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები.
დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია	თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	• თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, • ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი სხვა პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად.
თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება	საქართველოს სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტინგენტით.	სამხედრო ძალებში გასაწვევ კონტინგენტს დაქვემდებარებული პირები.
ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება	18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით	დიაგნოზის მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები. პროგრამის მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების გზით.
ტუბერკულოზის მართვა	ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია	• საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე და საქართველოში მყოფი ბაქტერიაგამომყოფი (მგბ+) პირები, ასევე ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მოსარგებლეები, ამ მუხლში მითითებულ პირებთან ერთად, შეიძლება იყვნენ საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე სტუდენტის სტატუსის მფლობელები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

		• პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. • შსს მიგრაციის დეპარტამენტის მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრებში მყოფი უცხოელები, კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად. • ეპიდზედამხედველობის კომპონენტის მოსარგებლეა ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პირის კონტაქტები, მიუხედავად მოქალაქეობის სტატუსისა.
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა	დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება, ნაადრევი მშობიარობების რიცხვისა და თანდაყოლილი ანომალიების განვითარების შემცირება, ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.	"ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის" მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქე, ასევე საქართველოში მუდმივად მცხოვრები ყველა ორსული. "გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტის" - მაღალი რისკის ორსულთა შემდეგი ჯგუფები (ქ. თბილისის მასშტაბით).
ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა	ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება	• საქართველოს მოქალაქეები; • უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც გამომგზავრების მომენტისთვის ჩართული იყვნენ უცხოეთში მოქმედ ჩანაცვლებით პროგრამებში; • 2017 წლის 1 ივლისამდე, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მეთადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად.
ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (ინკურაბელური - განუკურნებელი)	ინკურაბელური პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	• „ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის"შემთხვევაში თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთის, გორის, თელავისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულისაქართველოს მოქალაქე ინკურაბელური პაციენტები.

		„ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარულ პალიატიური მზრუნველობისა და სიმ პტომური მკურნალობის კომპონენტით“ *გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან:* • საქართველოს მოქალაქეები, გარდა ტუბერკულოზით დაავადებული ინკურაბელური პაციენტებისა; • საქართველოს მოქალაქე შიდსით დაავადებული ინკურაბელური პაციენტები.
[რეფერალური მომსახურება](#)	მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	• შესაბამისი კომისიების დადგენილებებით განსაზღვრული პირები; • საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები; • სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საინფორმაციო ბაზაში რეგისტრირებული ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები; • „მომატებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სამუშაოებზე დასაქმებული პირები, რომლებსაც სასუნთქი სისტემის დაავადებების განვითარების მაღალი რისკის გამო, აქვთ სასუნთქი სისტემის დაავადებები; • ანამნეზში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (covid-19) დიაგნოზის მქონე გამოჯანმრთელებული პირები
[იშვიათი დაავადების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა;](#)	დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	• იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურებითა და იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურებით მოსარგებლე საქართველოს მოქალაქეები; • ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებითა და იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით მოსარგებლე საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა	მოსახლეობის დაცვა ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისაგან (COVID - 19) როგორც პრევენციული ღონისძიებების, ასევე დაავადების გამოვლენის შემთხვევაში მასზე რეაგირებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების გზით.	• საქართველოს მოქალაქე, • საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, • საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირი, • ასევე საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი, მიუხედავად მოქალაქეობის სტატუსისა • №164 განკარგულებით განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ინფიცირებულია ან/და საეჭვოა COVID-19-ით ინფიცირებაზე და ამასთან, მისი ოჯახის წევრს (შვილი, მშობელი, მეუღლე) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე.
სპეციფიკური მედიკამენტების უზრუნველყოფა	მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.	• საქართველოს მოქალაქეები • საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები

დეტალური ინფორმაცია ჯანდაცვის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესახებ იხილეთ ბმულზე: https://nha.gov.ge/ge/p/jnmrtelobis,-dacvis,-saxelmwifo,-programebi

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას, სერვისების განვითარებას და სრულყოფას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ***სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.***

სააგენტოს სტრუქტურაში ფუნქციონირებს 10 რეგიონული სამსახური, მათ შორის კახეთის, იმერეთის და გურიის რეგიონული სამსახურები. რეგიონული სამსახური ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას და კონსულტაციას ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პირობებზე, დახმარებას უწევს პროგრამებში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს, იხილავს დაინტერესებულ პირთა განაცხადებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს პირის პროგრამით მოსარგებლედ ცნობას და რეგისტრაციას.
დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://nha.gov.ge .

8. სოციალური პროგრამები

სოციალური პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს მთავრობა გასცემს სახელმწიფო გასაცემლებს და ახორციელებს სოციალურ პროგრამებს.

სახელმწიფო გასაცემლებია:

- სახელმწიფო პენსია
- სახელმწიფო კომპენსაცია
- საყოფაცხოვრებო სუბსიდია
- სოციალური პაკეტი
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებას და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება.

სოციალური პროგრამებია:

- ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა);
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის.

8.1. სახელმწიფო გასაცემლები

8.1.1. სახელმწიფო პენსია

პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა (მამაკაცისთვის - 65 წელი, ქალისთვის - 60 წელი). ამასთან, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის[1] განხორციელების პერიოდში.

სახელმწიფო პენსია ენიშნებათ პირს, რომელსაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი და არის:

- საქართველოს მოქალაქე;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი;
- პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად

[1] საჯარო საქმიანობა არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა.

მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე;

- უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი).

სახელმწიფო პენსიის დასანიშნად პირმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა.

პენსიის დასანიშნად, დაინტერესებულმა პირმა სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში უნდა წარადგინოს ***პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი*** (თუ პენსიის დასანიშნად პირის კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სააგენტოს, დამატებით საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები).

<u>შენიშვნა:</u> უცხო ქვეყნის მოქალაქემპენსიის დანიშვნისათვის სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება და ასევე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომლითაც დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის მანძილზე კანონიერად ცხოვრების ფაქტი.

საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქე), დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

პენსია ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

პენსიის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. პენსიის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

2022 წლის 1 იანვრიდან, ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსიის ოდენობა შეადგენს 260 ლარს თვეში, 70 წლის ზემოთ ასაკი პენსიონერებისთვის კი 300 ლარს თვეში. გარდა ამისა, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის ყოველთვიური დანამატის – სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20%-ის მიცემას.

პენსიონერს პენსიის მიღება შეუძლია სს „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ სერვის ცენტრში, ასევე ბანკომატების მეშვეობით.

რა არის პენსიის შეჩერებისა და განახლების საფუძველი?

პენსია შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

✓ პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში,

✓ როდესაც საბანკო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება,
✓ როდესაც პირი ახორციელებს პენსიის დეპოზიტზე გადატანას და 1 წლის გასვლის შემდეგ პირადად, არ მიუმართავს პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულებისათვის შესაბამისი განცხადებით,
✓ პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას.
✓ პენსია განახლდება განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მაქსიმუმ გასული 12 თვის მიუღებელი თანხა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. ასეთ დროს, პირისათვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას, შეჩერებული პენსია განახლდება და ანაზღაურდება ყველა გასული თვის მიუღებელი თანხა.

რა არის პენსიის შეწყვეტის საფუძველი?

პენსია შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

✓ პირადი განცხადებით,
✓ პენსიონერის გარდაცვალებისას,
✓ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში,
✓ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, - პენსიის შეჩერების დღიდან,
✓ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას,
✓ პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას,
✓ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისას,
✓ პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ,
✓ სხვა საფუძვლით, თუ იგი გამომდინარეობს საქართველოს კანონიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ".

პენსიონერი ვალდებულია აცნობოს სოციალური მომსახურების სააგენტოს იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს პენსიის გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

დამატებითი ინფორმაცია პენსიის მიღებაზე არსებული შეზღუდვების, პენსიის შეჩერებისა და განახლების საფუძვლების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23

8.1.2. სახელმწიფო კომპენსაცია

სახელმწიფო კომპენსაცია გაიცემა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიებზე:

- ყოფილი გენერული აუდიტორები და მათი მოადგილეები;
- პარლამენტის ყოფილი წევრები;
- პარლამენტის აპარატის ყოფილი მოხელეები;
- პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი მუშაკები;
- საერთო სასამართლოების ყოფილი მოსამართლეები;
- საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრები;
- უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეები;

- სამოქალაქო ავიაციის ყოფილი მოსამსახურეები;
- პირები, რომლებსაც წარსულში უმაღლესი დიპლომატიური რანგი ჩააჩნდათ;
- ყოფილი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებისთვის;
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულის ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვლილის ოჯახის წევრები.

დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო კომპენსაციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ აქ: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=24

შენიშვნა: თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება „სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონითა და „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით.

აღნიშნული წესის გამონაკლის კატეგორიებზე ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=23&lang_id=GEO

8.1.3. საყოფაცხოვრებო სუბსიდია

საყოფაცხოვრებო სუბსიდია წარმოადგენს ყოველთვიურ ფულად გასაცემელს, რომელიც სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად არის განკუთვნილი.

საყოფაცხოვრებო სუბსიდია ენიშნებათ იმ პირებს, რომლებიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის მომენტისათვის აღრიცხულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოში სახელმწიფო პენსიის მიმღებად.

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვს:

- მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - 100 ლარის ოდენობით,
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს - 100 ლარის ოდენობით,
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს, ასაკის მიუხედავად, აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) - 100 ლარის ოდენობით,
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს - 100 ლარის ოდენობით,
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს - 100 ლარის ოდენობით,
- მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების

დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი), აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი) მეომრების ოჯახების შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად, მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) - 100 ლარის ოდენობით,

- სამხედრო ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას - 100 ლარის ოდენობით,
- ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს - 7 ლარის ოდენობით,
- ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს - 7 ლარის ოდენობით,
- ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისათვის პენსიის მიმღებ ოჯახებს - 7 ლარის ოდენობით,
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებს - 7 ლარის ოდენობით,
- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - 44 ლარის ოდენობით,
- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლებს, შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვან შვილს ან/და ნაშვილებს - 44 ლარის ოდენობით,
- ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს - 22 ლარის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირმა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დასანიშნად, უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს და წარადგინოს საქართველოს ***მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი*** **დოკუმენტი** და ***შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.***

საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა განხორციელდება პირის მიერ განცხადებისა და საჭირო დოკუმენტის სააგენტოში შეტანის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ:
http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29

8.1.4. სოციალური პაკეტი

სოციალური პაკეტი წარმოადგენს ყოველთვიურ ფულად სარგებელს ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობას, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სოციალური პაკეტის მიმღები შეიძლება იყოს

- მარჩენალდაკარგული პირი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი;
- პოლიტრეპრესირებული პირი; http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1386
- სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირი; http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1387

8.1.4.1. სოციალური პაკეტი მარჩენალდაკარგული პირებისათვის

მარჩენალდაკარგული პირი არის ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე, რომელსაც ენიშნება სოციალური პაკეტი მარჩენალის გარდაცვალების გამო.

მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური პაკეტი ენიშნებათ შემდეგ პირებს:

- გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე, თითოეულს - 100 ლარის ოდენობით;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი პირის შვილს 18 წლის ასაკამდე - 107 ლარის ოდენობით;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის შვილს 18 წლის ასაკამდე - 122 ლარის ოდენობით;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილის შვილს 18 წლის ასაკამდე - 144 ლარის ოდენობით.

სოციალური პაკეტის დასანიშნად დაინტერესებულმა პირმა განცხადება უნდა წარადგინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა.

დამატებითი ინფორმაცია სოციალური პაკეტის დანიშვნის, გაცემის, შეჩერებისა და განახლების პროცედურების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1385

8.1.4.2. სოციალური პაკეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

სოციალური პაკეტი ენიშნებათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს.

- ✓ სოციალური პაკეტი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირებისთვის შეადგენს 275 ლარს თვეში. ამასთან, განსაზღვრულია მკვეთრად გამოხატული შშმ პირების რიგი კატეგორიები, რომელთათვისაც სოციალური პაკეტი განსხვავებულია და შეადგენს 282-დან 619 ლარამდე.

- ✓ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სოციალური პაკეტის საბაზისო ოდენობაა 140 ლარი თვეში, მაგრამ კატეგორიების მიხედვით ეს თნხა 162-დან 484 ლარამდეა.
- ✓ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საბაზისო სოციალური პაკეტის ოდენობა შეადგენს 100 ლარს თვეში და კატეგორიების მიხედვით 134-დან 144 ლარამდეა.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს სოციალური პაკეტი ენიშნებათ თვეში 275 ლარის ოდენობით და კატეგორიების მიხედვით 282- დან 319 ლარამდეა.

დამატებითი ინფორმაცია სოციალური პაკეტის მიმღებთა კატეგორიების, სოციალური პაკეტის დანიშვნის, გაცემის, შეჩერებისა და განახლების პროცედურების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1387

8.1.5. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება ხორციელდება ორი ფორმით:

- ***შვებულების ანაზღაურება*** - „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლით გათვალისწინებული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება.
- ***დახმარება*** - „საქართველოს შრომის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარება.

დასაქმებულს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა ***ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება*** 126 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 143 კალენდარული დღის ოდენობით. ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ***ბავშვის მოვლის გამო შვებულება*** 604 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 587 კალენდარული დღის ოდენობით. ***ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე.***

ბავშვის მოვლის გამო შვებულება შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენოს ბავშვის დედამ ან მამამ. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებით სარგებლობა დედის ექსკლუზიური უფლებაა, თუმცა ბავშვის მამა უფლებამოსილია ისარგებლოს დედის მიერ აღნიშნული შვებულების გამოუყენებელი დღეებით.
იმ შემთხვევაში თუ დედას არ გამოუყენებია ანაზღაურებადი შვებულების დღეები ან გამოიყენა ნაწილი 90 დღიდან დარჩენილი დღეების გამოყენების უფლება აქვს მამას.

ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებადი ნაწილის გამოყენება ხდება ***თანმიმდევრობით*** შესაბამისად 183 (126+57) ან 200 (143+57) კალენდარული დღის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში თუ დედას არ გამოუყენებია ანაზღაურებადი შვებულების დღეები ან გამოიყენა ნაწილი 183/200 დღიდან დარჩენილი დღეების გამოყენების უფლება აქვს მამას.

დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა ***შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო*** ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ***ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.***

<u>**რა ოდენობისაა დახმარება და ანაზღაურების რა პირობებია?**</u>

დახმარება გაიცემა სააგენტოს მიერ, მაგრამ ჯამურად ***არაუმეტეს 1000 ლარისა***, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პრინციპით:

ა) ორივე დასაქმებული მშობლის მიერ შვებულების გამოყენების შემთხვევაში, გამოყენებული დღეების პროპორციულად, მაგრამ ჯამურად არაუმეტეს 1000 ლარისა;
ბ) ერთ-ერთი დასაქმებული მშობლის მიერ შვებულების გამოყენების შემთხვევაში-ჯამურად არაუმეტეს 1000 ლარისა;
გ) დასაქმებულ მშობელს (მამა) ბავშვის მოვლის გამო შვებულების დახმარება არ მიეცემა, თუ საჯარო მოსამსახურე დედამ სრულად ისარგებლა ორსულობისა და მშობიარობის ან ბავშვის მოვლის გამო შვებულებით ან ნაწილობრივ ისარგებლა და აუნაზღაურდა არანაკლებ 1000 ლარი. საჯარო მოსამსახურე დედის მიერ შვებულების ნაწილობრივ სარგებლობისას, თუ მიღებული ანაზღაურება 1000 ლარზე ნაკლებია, დასაქმებული მშობლისთვის (მამასთვის) ბავშვის მოვლის გამო შვებულების დახმარების ოდენობა გაანგარიშდება ორივე მშობლისათვის ჯამურად არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.
დ) ***დასაქმებულს, რომელიც იმავდროულად არის საჯარო მოსამსახურე, ორსულობისა და მშობიარობის, ასევე ბავშვის მოვლის გამო, შვებულების დახმარება არ მიეცემა.***

დახმარების მისაღებად ***დამსაქმებლისათვის წარსადგენი*** *დოკუმენტებისა და* ***დამსაქმებლის მიერ მოსამზადებელი*** *დოკუმენტების ჩამონათვალი, ასევე სხვა* დამატებითი ინფორმაცია *იხილეთ აქ:* http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=375

8.2. სოციალური პროგრამები

8.2.1. ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)

ოჯახს, რომელიც საჭიროებს სოციალურ დახმარებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეუძლია მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს, შეავსოს შესაბამისი განაცხადი და დარეგისტრირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

შენიშვნა: *იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა, განაცხადის შევსება შესაძლებელია ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე (სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს).*

განაცხადის შესავსებად საჭიროა:

- ოჯახის სრულწლოვანი წევრ(ებ)ის პირადობის/ბინადრობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო არასრულწლოვანი წევრ(ებ)ის შემთხვევაში, დაბადების მოწმობა სადაც მითითებულია პირადი ნომერი;
- მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება, თუ განცხადება შეაქვს პირს, რომელიც ოჯახის წევრი არ არის.

განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შეივსება **„ოჯახის დეკლარაცია",** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე (ფულადი სოციალური დახმარება და სხვა).

რა შემთხვევაში ინიშნება ფულადი სოციალური დახმარება?

მოქმედი მეთოდოლოგიით შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის შემდეგი ოდენობები:

- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 120 001-ზე ნაკლებია: ყოველ 16 წლამდე ასაკის წევრზე მიიღებს 100 ლარის ოდენობის შემწეობას.

ფულად დახმარებას ოჯახი მიიღებს, საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურის განხორციელების შემდგომ, მინიჭებული სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის მომდევნო მეორე თვიდან.

ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;
- იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;
- ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი;
- სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;
- სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი.
- პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული.

სად უნდა მიიღოთ კუთვნილი ფულადი სოციალური დახმარება?

თანხის მისაღებად, მიმართეთ სს "ლიბერთი ბანკს", სადაც ანგარიშის გახსნისა და პლასტიკური ბარათის დამზადების შემდეგ, ყოველთვიურად ჩაგერიცხებათ კუთვნილი ფულადი დახმარება.

ფულადი დახმარების მისაღებად სს "ლიბერთი ბანკში" ანგარიშის გახსნა უფასოა.

ოჯახს არ აქვს უფლება, ***საარსებო შემწეობასთან ერთად, მიიღოს დევნილის ყოველთვიური შემწეობა*** (45 ლარი თვეში).

რა შეიძლება გახდეს ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზი?

- ოჯახის განცხადება;
- ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება;
- თუ, ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ „საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულას;
- ოჯახის წევრის 16 წლის ასაკის შესრულება ისეთ ოჯახში, რომლის სარეიტინგო ქულა მეტია 65 001 და ნაკლებია 120 001.

რა შემთხვევაში შეიძლება ოჯახს შეუწყდეს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია?

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტა და/ან განმეორებითი რეგისტრაციის მოთხოვნის აკრძალვა გამოიყენება სააგენტოსათვის ყალბი ან არასწორი მონაცემების მიწოდების ან/და ოჯახის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის (მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, დემოგრაფიული ან/და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის თაობაზე, სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება და სხვა) შეუსრულებლობის შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაცია საარსებო შემწეობის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=35 .

8.2.2. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა

პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას შობადობის მატერიალური წახალისების გზით.

2022 წელს აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონები.

პროგრამის ბენეფიციარია ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ბავშვები), რომლის ბიოლოგიური დედა/ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 ან მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება ან ეს მაჩვენებელი არ აღემატება 200-ს და ამ ბავშვის (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ერთ-ერთი ტყუპისცალი) დაბადების დღის მდგომარეობით, იგი არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.

დადგენილებით განსაზღვრული პირობების გარდა, ბავშვი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ხოლო მშობელი საქართველოს მოქალაქე / საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე.

ვის აქვს ფულადი დახმარების მიღების უფლება?

ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება ენიჭება ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ დედას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ მამას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

რა სახის დოკუმენტებია საჭირო ფულადი დახმარების დასანიშნად?

ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე განცხადება (ყველა საჭირო დოკუმენტებთან ერთად) წარედგინება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ახლად დაბადებული ბავშვის ბიოლოგიური დედის/ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ბავშვის/ბავშვების მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საჭიროების შემთხვევაში - საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა);
- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მიმართვას ახორციელებს მშობლების გარდა სხვა კანონიერი წარმომადგენელი;
- მაძიებლისა და სხვა შვილების დაბადების მოწმობები;
- საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა სოციალური დახმარების უფლებრივი საკითხის გასარკვევად.

რა თანხას შეადგენს ბენეფიციარზე გათვალისწინებული დახმარება?

ფულადი დახმარება ინიშნება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (ბავშვის 2 წლის ასაკის შერულების თვის ჩათვლით) და შეადგენს: ***მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 200 ლარს, ხოლო ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარს. (მეორე და მესამე ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს მხოლოდ ერთ-ერთი ტყუპისცალი).***

რა შემთხვევაში წყდება ფულადი დახმარების გაცემა?

ფულადი დახმარება შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლის (შესაბამისი წყაროს მითითებით) წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- განცხადებით მიმართვისას - განცხადება;
- ბენეფიციარის გარდაცვალებისას - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია;
- ბენეფიციარის 2 წლის ასაკის შესრულების თვის მომდევნო თვიდან;
- იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, ზედიზედ ორი თვის განმავლობაში, ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენილი წესით გადამოწმებისას, არ დასტურდება ბენეფიციარის მიმართ დახმარებაზე უფლების განმსაზღვრელი გარემოებები, დახმარება შეწყდება შეჩერების დღიდან, მიუხედავად ოჯახის ბოლო გადამოწმების შემდეგ წარმოშობილი/გაცხადებული გარემოებებისა;
- ბენეფიციარის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის შეცვლისას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დანიშვნის ადგილის პირობებს;
- თუ ბენეფიციარი იმყოფება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში (რეინტეგრაცია/მინდობითი აღზრდა, თავშესაფარი და სხვა);
- სხვა საფუძვლით, თუ ის გამომდინარეობს ამ წესიდან.

შეწყვეტის შემდეგ დახმარების ახლიდან დანიშვნა განხორციელდება საერთო წესით (ფულადი დახმარება ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან).

დამატებითი ინფორმაცია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია აქ: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1110

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის“

პროგრამა მიზნად ისახავს მაღალმთიან რეგიონებში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას შობადობის მატერიალური წახალისების მეშვეობით. პროგრამის ბენეფიციარია 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვი (საქართველოს მოქალაქე), რომლის ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი.

ფულადი დახმარება ინიშნება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და განისაზღვრება:

- 100 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის პირველი ან მეორე შვილია.
- 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის მე-3 ან მომდევნო შვილია.
- მეორე და მესამე ტყუპის შემთხვევაში ერთ-ერთ ტყუპისცალს 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მეორეს - 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაცია ***მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის*** *დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია* ბმულზე: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1382

8.3. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები

ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს სოციალური დახმარებებისა და სახელმწიფო გასაცემლების სახელმწიფო პროგრამებს.

სააგენტოს შემადგენლობაში მოქმედებს 2 ტიპის ტერიტორიული სამსახური: სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი და რაიონული განყოფილება.

სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ხელს უწყობს და ზედამხედველობა უწევს სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირებას, სოციალური დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციას. სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი ზედამხედველობას უწევს რაიონული განყოფილებების მიერ სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, სოციალური პაკეტის დანიშვნას და ცვლილებას, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციას, ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის ბენეფიციართა მართვას და სოციალური დახმარების ადმინისტრირების პროცესს, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებებზე მოთხოვნის

ფორმირების პროცესს. ცენტრი უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას, კონსულტაციას და კორესპონდენციაზე პასუხის გაცემას[2].

რაიონული განყოფილება ღებულობს გადაწყვეტილებებს სოციალური დახმარების, სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, განახლების ან დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს მაძიებელი ოჯახების განაცხადის მიღებასა და ბაზაში განთავსებას, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას, ამზადებს და ამუშავებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გასაცემად საჭირო დოკუმენტაციას. განყოფილება უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

იმერეთის რეგიონში ფუნქციონირებს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი და სააგენტოს 11 ტერიტორიული სამსახური.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები იმერეთის რეგიონში

სააგენტოს ტერიტორიული სამსახური	მდებარეობა
იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. ქუთაისი, ჩეჩელაშვილის ქუჩა N26
საჩხერის რაიონული განყოფილება	ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ. №2;
ჭიათურის რაიონული განყოფილება	ქ. ჭიათურა, ე. ნინოშვილის ქ. №5ა
თერჯოლის რაიონული განყოფილება	ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N100
ხარაგაულის რაიონული განყოფილება	ქ. ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. №61ა,
ზესტაფონის რაიონული განყოფილება	ქ. ზესტაფონი, გ. რობაქიძის ქ. №6
ტყიბულის რაიონული განყოფილება	ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №3
ბაღდათის რაიონული განყოფილება	ქ. ბაღდათი, წერეთელის ქ. №9
ხონის რაიონული განყოფილება	ქ. ხონი, პ. კაკაბაძის ქ. №15
წყალტუბოს რაიონული განყოფილება	ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25
ვანის რაიონული განყოფილება	ქ. ვანი, თავისუფლების №65
სამტრედიის რაიონული განყოფილება	ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6

წყარო: ssa.gov.ge

[2] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=744

გურიის რეგიონში მოქმედებს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი და 2 ტერიტორიული სამსახური.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები გურიის რეგიონში

სააგენტოს ტერიტორიული სამსახური	მდებარეობა
გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. ოზურგეთი, გოგებაშვილის ქ. N2
ჩოხატაურის რაიონული განყოფილება	ქ. ჩოხატაური, დუმბაძის N19
ლანჩხუთის რაიონული განყოფილება	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ N76

წყარო: ssa.gov.ge

კახეთის რეგიონში ფუნქციონირებს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი და 7 ტერიტორიული სამსახური.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები კახეთის რეგიონში

სააგენტოს ტერიტორიული სამსახური	მდებარეობა
კახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი	ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41
ახმეტის რაიონული განყოფილება	ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №49
საგარეჯოს რაიონული განყოფილება	ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. №15
ყვარელის რაიონული განყოფილება	ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №71;
გურჯაანის რაიონული განყოფილება	ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. №17
სიღნაღის რაიონული განყოფილება	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. წნორი ევდოშვილის ქ. №21
ლაგოდეხის რაიონული განყოფილება	ქ. ლაგოდეხი, თავისუფლების ქ. №11
დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილება	ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44

წყარო: ssa.gov.ge

8.4. სერვისები სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული სერვისები

ონლაინ პლატფორმა https://www.sheaghe.ge/ka საშუალებას მოგცემთ მოიძიოთ ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და აწვდიან შემდეგ მომსახურებებს: სოციალური მომსახურება, ჯანმრთელობის მხარდამჭერი მომსახურება, საგანმანათლებლო მომსახურება, იურიდიული მხარდაჭერა, დასაქმების მხარდამჭერი მომსახურება, და სხვა.

სასარგებლო ინფორმაცია:

USAID -ის მიერ დაფინანსებული ***დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამის*** ფარგლებში, რომელიც მაკ ჯორჯიასა (MAC Georgia) და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (CIL) პარტნიორობით ხორციელდება, ფუნქციონირებს 6 დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი: ცენტრების ყველა სერვისი უფასოა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- კონსულტაციების გაცემა და ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახებისთვის;
- გადამისამართება - რეფერირება სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო პროგრამაში;
- მხარდაჭერა პროგრამებში მოხვედრისთვის - მაგ, შშმ პირის სტატუსის მიღება, პროგრამაში ჩარიცხვა, და ა.შ.;
- ადვოკატირება - საჭიროების შემთხვევაში თუ ირღვევა/არ ხდება კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებიდან ინდივიდუალური თუ სათემო ადვოკატირება და საქმეთ წარმოება. საჭიროების შემთხვევაში იურიდიული მხარდაჭერა;
- კონსულტაციების კერძო და საჯარო უწყებებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესახებ;

ცენტრების ფეისბუქგვერდები:

1. ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
2. ზუგდიდის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
3. ქუთაისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
4. ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
5. ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი
6. თელავის დემოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიზანია:
ა) ადამიანით **ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა** დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა,** აგრეთვე სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა;

გ) **მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის** სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის **მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციის ხელშეწყობა;**

ე) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის** ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა.

სააგენტოს სერვისების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს - http://atipfund.gov.ge/

სააგენტო ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/ დაზარალებულს/სავარაუდო მსხვერპლს (მასზე დამოკიდებულ პირ(ებ)თან ერთად) უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის ფარგლებში:

- ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაცია/დახმარება;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
- სამართლებრივი დახმარება;
- საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება;
- დროებითი სადღეღამისო საცხოვრისით თავშესაფარში (მხოლოდ მსხვერპლს/დაზარალებულს, დამოკიდებულ პირებთან ერთად);
- დროებითი სადღეღამისო საცხოვრისით კრიზისულ ცენტრში.

საკონსულტაციო ცხელი ხაზი - 116 006

ზარი უფასოა, კონფიდენციალურობა დაცულია, მუშაობს 24-საათიან რეჟიმში, კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე.

ნაწილი 9: დასაქმების ხელშეწყობა

საქართველოში მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის, სამუშაოს მაძიებელთა და თავისუფალი სამუშაო ადგილების რეგისტრაციის, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის მიზნებისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს სსიპ - ***დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.***

დასაქმების სერვისების მიწოდების მიზნით შექმნილია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა[3] - www.worknet.gov.ge, სადაც ხდება სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების რეგისტრაცია, ინფორმაციის მიღება დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული სამუშაო ადგილების შესახებ. საინფორმაციო სისტემის საშუალებით დამსაქმებლებს შეუძლიათ მოიძიონ ვაკანსიის შესაფერისი კვალიფიკაციის პირები.

სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების worknet.gov.ge-ზე რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც ონლაინ, ისე დასაქმების ხელშეწყობის ტერიტორიულ განყოფილებებში ვიზიტით.

სამუშაოს მაძიებლად შეიძლება დარეგისტრირდეს უმუშევარი ან დასაქმებული, რომელიც ეძებს სხვა შესაფერის სამუშაოს.

პირი სამუშაოს მაძიებლად ვერ დარეგისტრირდება, თუ:

ა) არის 16 წლის და რეგისტრაციის დროისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლედ ირიცხება;

ბ) მიაღწია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საპენსიო ასაკს;

გ) იმყოფება სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში;

დ) თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით რეგისტრაციის შეწყვეტიდან 18 თვე არ გასულა;

ე) არ არის საქართველოს მოქალაქე.

დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო ახორციელებს დასაქმების სფეროში საშუამავლო მომსახურებას, დასაქმების ფორუმების ორგანიზებას, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ მომზადება-გადამზადების ორგანიზებას და სხვა აქტივობებს. იგი ასევე უზრუნველყოფს საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას სამუშაოს მაძიებელთათვის, მათთთვის დამსაქმებელთან გასაუბრების უნარების განვითარებას.

შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების გამოვლენისა და სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლის მიზნით სააგენტო აწარმოებს კვლევით

[3] http://www.worknet.gov.ge/

საქმიანობას და ანალიზს, რომელიც შემდეგ საფუძვლად ედება დასაქმების სფეროში სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

worknet.gov.ge-ზე რეგისტრაციისას სამუშაოს მაძიებელს საშუალება აქვს დააფიქსიროს ინფორმაცია არა მარტო საკუთარი კვალიფიკაციისა და სასურველი სამუშაოს შესახებ, არამედ იმის შესახებაც, თუ რა მიმართულებით სურს პროფესიული მომზადება-გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება. ამ ინფორმაციის გათვალისწინება ხდება რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების ჩასართავად „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამაში", რომელიც დასაქმების ხელშეწყობის სახელმიფო პროგრამის ნაწილია და ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ხორციელდება.

9.1. დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა

დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილებით. პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1. „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა";
2. „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა";
3. „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა".

9.1.1. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2022 წლის სახელმწიფო ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის worknet.gov.ge-ს განვითარება;

ბ) შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე;

გ) საშუამავლო მომსახურების მიწოდება-განვითარება;

დ) მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;

ე) დასაქმების ფორუმების მოწყობა;

ვ) ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ;

ზ) სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება;

თ) სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დასაქმების worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისათვის სააგენტოს თანამშრომლები უზრუნველყოფენ ***ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევას მუნიციპალურ დონეზე.***

სამუშაოს მაძიებელთა ინდივიდუალური კონსულტირება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, ჯგუფური კონსულტირების ორგანიზება - სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ კვარტალში ერთხელ.

სამუშაოვლო მომსახურების მიწოდება-განვითარების მიზანია თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიებისა და სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მიზნით, დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიული და ეფექტიანი დაკავშირება და/ან ასეთი დაკავშირების ხელშეწყობა.

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვის მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა. იგი ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით დასაქმების ხელშეწყობისა და დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტებს.

შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით დასაქმება არის ისეთი დასაქმება, როდესაც დამსაქმებელი იღებს მატერიალურ სარგებელს – შრომის ანაზღაურების სუბსიდიას გარკვეული კატეგორიის სამუშაოს მაძიებლის დასაქმების მიზნით.

სუბსიდირებით დასაქმების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ დასაქმების სააგენტოში რეგისტრირებული პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ჩამოთვლილ კატეგორიებს:

ა) დევნილის სტატუსის მქონე პირი 16 წლიდან 29 წლის ჩათვლით;

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი 16 წლიდან 29 წლის ჩათვლით, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;

გ) სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული პირი 16 წლიდან 29 წლის ჩათვლით;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

ამ კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისთვის, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს იმ დამსაქმებლების შერჩევა რეგიონების მიხედვით, რომლებიც გამოხატავენ მზაობას ბენეფიციართა დასაქმების თაობაზე არანაკლებ 9 თვის ვადით.

სააგენტომ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული ვაკანსიის პირობებში შესასრულებელი სამუშაოს ანალიზი, ბენეფიციართა უნარ-ჩვევების ვაკანსიის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და აწვდის შესაბამის ბენეფიციარებს. ***საბოლოო გადაწყვეტილებას ბენეფიციართან შრომითი***

ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, სააგენტოს შეთავაზების საფუძველზე, იღებს დამსაქმებელი.

დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებლების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სააგენტოსაგან გაცემულ ვაუჩერს ბენეფიციარი წარადგენს დამსაქმებელთან, რომელიც, თავის მხრივ, ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებულ ვაუჩერს აგზავნის სააგენტოში სუბსიდირების დაფინანსებისთვის.

სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციართა სუბსიდირებას დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ ***ვაკანსიაზე გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 560 (ხუთას სამოცი) ლარისა.*** ქვეპროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 9 თვის ვადით. ***დასაქმებულს სუბსიდია ეძლევა არანაკლებ 3 თვის ვადით.***

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებზე პასუხისმგებელია დამსაქმებელი.

დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მიზანია დამსაქმებლის მიერ სააგენტოსთან შეთანხმებით, ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის არის ადაპტირებული.

სააგენტო უფლებამოსილია, დაცული სამუშაო ადგილის სამუშაო გარემოს ადაპტირებისთვის ან შექმნისთვის განახორციელოს დამსაქმებლის სუბსიდირება იმ პირობით, რომ ეს სამუშაო გარემო ***სულ მცირე 3 წელს იფუნქციონირებს.*** დაცული სამუშაო ადგილი, შეიძლება, აგრეთვე იყოს სპეციალური ვაკანსია, რომელსაც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი დაიკავებს. დაცული სამუშაო ადგილისთვის დამსაქმებლის სუბსიდირება დამსაქმებელსა და სააგენტოს შორის წინასწარ წერილობით უნდა იყოს შეთანხმებული.

დაცული სამუშაო ადგილის სახეობებს, მათ შექმნას და მათი სამუშაო გარემოს ადაპტირებას, დაცული სამუშაო ადგილისთვის დამსაქმებლის სუბსიდირების მოცულობას, თანხის ნაწილობრივ გადახდასა და თანამონაწილეობას განსაზღვრავს სამინისტრო, სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე.

დასაქმების ფორუმების მოწყობის მიზანია დამსაქმებლებს, პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა და ინფორმაციის გაცვლის მხარდაჭერა. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ დამსაქმებლები და სამუშაოს მაძიებლები.

9.1.2. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების მიწოდება რეგიონულ დონეზე;

ბ) საკვანძო კომპეტენციების განვითარება;

გ) სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

აღნიშნული მიმართულებებით სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი ტრენინგებისა და სასწავლო კურსების ორგანიზებას, რომლებიც პროგრამის ბენეფიციარებისთვის უფასოა.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სამუშაოს მაძიებელი პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - worknet.gov.ge, ასევე ***სპეციალური სტატუსის ბენეფიციარები:***

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპენსიო ასაკის მოქალაქეები,

ბ) 16 წლიდან ზევით საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, რომლებიც მიმართავენ სააგენტოს.

რეგიონულ დონეზე ***პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების*** მიწოდების მიზანია პროფკონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სააგენტოში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები.

საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიზანია სამუშაოს მაძიებლების პიროვნული განვითარებისათვის, სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსავითარებლად ტრენინგების ორგანიზება.

საკვანძო კომპეტენციებში სამუშაოს მაძიებელთა მოსარგებლე სამუშაოს მაძიებელთა გამოვლენა/რეგისტრაციასა და სწავლების ორგანიზებას ახდენს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო.

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების“ კომპონენტის მიზანია შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადებით, პროფესიული გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილზე სტაჟირებით, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა.

სხვა თანაბარ პირობებში ამ პროგრამით სარგებლობის უპირატესი უფლება ენიჭებათ:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, რაც დასტურდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

გ) იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს;

დ) სოციალურად დაუცველ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;

ე) დაბრუნებულ მიგრანტებს, რომელთა დაბრუნებიდანაც არ არის გასული 1 წელზე მეტი;

ვ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის

ეროვნული სააგენტოს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს;

ზ) „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აქტებით მსჯავრდებულ პირებს, აგრეთვე ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს“;

თ) სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ბენეფიციარებს;

ი) სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ 16-დან 18 წლამდე ასაკის პირებსა და ასევე, სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ პირებს;

კ) „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებსა და მათ ოჯახის წევრებს;

ლ)ქალებს;

მ) არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამაში ჩარტულ არასრულწლოვან და სრულწლოვან 21 წელს მიუღწეველ პირებს;

ნ) არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებს;

ო) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;

პ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ პროფესიული კვალიფიკაცია;

ჟ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს;

რ) ეთნიკურ უმცირესობებს;

ს) ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებს;

ტ) სამუშაოს მაძიებლებს, რომლებსაც არ მიუღიათ გასულ წლებში ამ ღონისძიებაში მონაწილეობა;

უ) საკონტრაქტო სამხედროსამსახურიდან გათავისუფლებულ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს;

ფ) სამუშაოს მაძიებლებს, რომლებიც ღონისძიების განხორციელების პერიოდში არ არიან დაქირავებით დასაქმებულები ბოლო 1 წლის განმავლობაში;

ქ) სამუშაოს მაძიებლებს, რომლებიც არიან დაქირავებით დასაქმებულები და მათი შემოსავალი არ აღემატება საარსებო მინიმუმის გაორმაგებულ ოდენობას;

ღ) მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ სამუშაოს მაძიებლებს.

თანაბარ პირობებში არსებობისას, კვალიფიკაციის ამაღლების (სტაჟირების) ღონისძიებით სარგებლობის *უპირატესი უფლება ენიჭებათ ახალგაზრდებს.*

მომსახურების მისაღებად სამუშაოს მაძიებელი ვალდებულია პირადად გამოცხადდეს სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში და ღონისძიებაში ჩართვისთვის გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია. სამუშაოს მაძიებელმა თან უნდა იქონიოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი,
- ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი,
- ღონისძიებით უპირატესი უფლებით სარგებლობისათვის შესაბამისი სამიზნე ჯგუფის მიკუთვნებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული სწავლება ხორციელდება როგორც ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე სამუშაო ადგილზე სტაჟირების ფორმით. სააგენტოს მიერ სწავლის დაფინანსება ხდება სპეციალური ვაუჩერის გაცემით.

სტაჟირების შემთხვევაში ***სტაჟირებაზე გაგზავნილი მოსარგებლეებისათვის გაიცემა სახელმწიფო სტიპენდია, რომლის ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარით ერთ მოსარგებლეზე, დისტანციურის სტაჟირების შემთხვევაში თვეში 100 ლარით ერთ მოსარგებლეზე.*** ერთ პოზიციაზე მიმწოდებელს შეუძლია აიყვანოს არაუმეტეს სამი სტაჟიორი. სტაჟირების დასრულების შემდგომ დამსაქმებელი შერჩევის საფუძველზე ***უფორმებს შრომით ხელშეკრულებას მინიმუმ ერთ სტაჟიორს, არანაკლებ 6 თვის ვადით.*** სტაჟირების პერიოდში სტაჟიორის მხრიდან არაკეთილსინდისიერად მოქცევის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს ამის თაობაზე სააგენტოს.

პროფესიული მომზადების პროგრამის მინიმალური ხანგძლივობა შეადგენს 1 თვეს. სტაჟირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება დამსაქმებელთან შეთანხმებით და იგი არ აღემატება 6 (ექვს) კალენდარულ თვეს.

9.1.3. საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის გზით.

ქვეპროგრამის მოსარგებლეა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) რეგისტრირებული 120 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის შრომისუნარიანი წევრი, რომელიც არ არის დასაქმებული ან/და რეგისტრირებული თვითდასაქმებული სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზის მიხედვით.

შრომისუნარიანი წევრია პირი, რომელიც არ მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიას:

ა) სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი;

ბ) დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და/ან საჭიროებს მომვლელს;

გ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (I ჯგუფი);

დ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (II ჯგუფი);

ე) ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი;

ვ) საპენსიო ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 60 წელი, მამაკაცი – 65 წელი);

ზ) 18 წლამდე ასაკის პირი;

თ) მზრუნველობას უწევს საკუთარი ოჯახის არასრულწლოვან წევრ(ებ)ს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ(ებ)ს და/ან ხანდაზმულ(ებ)ს.

საზოგადოებრივი სამუშაო – ისეთი სამუშაო, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ პროფესიულ მომზადებას და რომლის მიზანია ინფრასტრუქტურულ და სხვა სფეროებში საზოგადოებრივი სარგებლობის სამუშაოს შესრულება. საზოგადოებრივი სამუშაოს სახეობები და ჩამონათვალი მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საზოგადოებრივი სამუშაოების ***ანაზღაურება გაიცემა სოციალური გასაცემლის სახით და შეადგენს თვეში 300 (სამას) ლარს ან პროპორციულად განსაზღვრულ დღიურ გასაცემელს,*** რომელიც გაიცემა სახელმწიფო გასაცემლების გაცემა/დარიგებაზე უფლებამოსილ საბანკო დაწესებულებაში. სოციალური გასაცემლის გადარიცხვას შესაბამის მომსახურე საბანკო დაწესებულებაში ახდენს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო.

ქვეპროგრამის მიზნებისათვის ***მიმწოდებელი*** არის სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მმართველობის სფეროში მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან სხვა ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ქმნის/შექმნის საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიას.

მიმწოდებელი უზრუნველყოფს:

ა) საზოგადოებრივი სამუშაოს შექმნას;

ბ) არეგისტრირებს საზოგადოებრივ სამუშაოს ვაკანსიას დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე);

გ) სააგენტოდან შესაბამის საზოგადოებრივ სამუშაოს ვაკანსიაზე წარდგენილ მოსარგებლეს უფორმებს სოციალურ ხელშეკრულებას;

დ) აწარმოებს ყოველდღიურ სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცელს/ტაბელს და უზრუნველყოფს სააგენტოსთვის მიწოდებას ყოველი თვის არაუგვიანეს 5 რიცხვისა, რომლის საფუძველზეც სააგენტო უზრუნველყოს გასაცემელის გადახდას იმავე თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა. სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცელზე მოცემული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი;

ე) ორგანიზებას უწევს შეთავაზებულ საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიაზე მოსარგებლის ჩართვის, მისი ეკიპირების, საჭიროების შემთხვევაში კი, სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფას;

ვ) ახორციელებს მოსარგებლის მიერ საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულების მონიტორინგს;

ზ) მოსარგებლის მიერ სამუშაოს არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფს სააგენტოს ინფორმირებას.

დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო უზრუნველყოფს:

ა) მოსარგებლესთან შეხვედრას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური;

ბ) ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებრივი სამუშაოს პირობების, სარგებლობის წესებისა და პროცედურების შესახებ, საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსალოდნელ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე. ასევე აწვდის მათ ზოგად ინფორმაციას სააგენტოს სხვა ღონისძიებების შესახებ;

გ) მოსარგებლის პროფილირებას და პროფილირების საფუძველზე შესთავაზებს:

გ.ა) საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიას;

გ.ბ) მისი უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამის შრომის ბაზარზე არსებულ ვაკანსიას;

გ.გ) იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზებას;

გ.დ) პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების ქვეპროგრამებში ჩართვას.

თუ შრომისუნარიანი პირი თანახმაა ერთ-ერთ შეთავაზებაზე, ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება მოთხოვნილია უშუალოდ ოჯახის მიერ.

თუ მოსარგებლემ მიიღო ერთ-ერთი შეთავაზება, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ექვემდებარება ხელშეკრულების შეწყვეტას და მომდევნო თვიდან ერთი წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალ გადამოწმებას.

მოსარგებლე უფლებამოსილია:

ა) მიმართოს დასაქმების სააგენტოს ან სოციალურ სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს ქვეპროგრამაში ჩართვის თაობაზე.

ბ) აირჩიოს სააგენტოს შეთავაზებებიდან ერთ-ერთი;

გ) უფლებამოსილია შეთავაზებაზე უარის თქმის მიუხედავად, შეცვალოს გადაწყვეტილება და მიიღოს შეთავაზებიდან ერთ-ერთი. გადაწყვეტილების დაფიქსირება შესაძლებელია დასაქმების სააგენტოს ან სოციალური სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში.

<u>შენიშვნა:</u> *იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში რამდენიმე შრომისუნარიანი წევრია და მათგან მინიმუმ ერთმა პირმა განაცხადა თანხმობა სააგენტოს ერთ-ერთ შეთავაზებაზე, ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა.*

შრომისუნარიანი პირის ***ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეწყდება*** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში:

ა) პირადი განცხადებით;
ბ) მოსარგებლის გარდაცვალებისას;
გ) მოსარგებლის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას;
დ) მოსარგებლის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება;
ე) საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებაზე თავის არიდების/არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო სოციალური ხელშეკრულების შეწყვეტისას;
ვ) შრომის ბაზარზე არსებულ ვაკანსიაზე დასაქმების და მოსარგებლის მიზეზით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას;
ზ) დასაქმების ფორმალიზების შემდეგ ფორმალიზების შეწყვეტისას;
თ) სხვა საფუძვლით თუ ის გამომდინარეობს ქვეპროგრამიდან.

ამ საფუძვლების წარმოშობის თვიდან ერთი წლის შემდეგ განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება.

თუ შრომისუნარიანი პირი არ არის თანახმა დასაქმების სააგენტოს შეთავაზებებზე, უარის თქმის თვიდან ერთი წლის შემდეგ განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება.

დეტალური ინფორმაცია დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის შესახებ იხილეთ ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5385740?publication=0

9.2. საზღვარგარეთ დროებითი (ციკულარული) დასაქმება

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალური დასაქმებას და საქართველოში დაბრუნებული შრომითი მიგრანტების ადგილობრივ ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობას.

საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://www.moh.gov.ge/ka/755/

საზღვარგარეთ დასაქმების კონკრეტულ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია ხორციელდება ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე: https://workabroad.moh.gov.ge/

9.3. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრები

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრების მისამართებია:

თბილისის სერვის ცენტრი:

- ქ.თბილისი; მიხეილ ასათიანის ქუჩა 9 (ცენტრალური ოფისი)
- ქ. თბილისი: აღმაშენებლის 140 ა
- ქ თბილისი: სარაჯიშვილი 1
- ქ თბილისი: კოსტავას 47

რეგიონალური ცენტრები:

- აჭარა: ქ. ბათუმი; ტაბიძის 2 ა;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი: ქ. ზუგდიდი; აღმაშენებლის 106;
- იმერეთი: ქ. ქუთაისი; ტაბიძის 40;
- გურია: ქ. ოზურგეთი; ჭავჭავაძის 19;
- კახეთი: ქ. თელავი; აღმაშენებლის 41;
- შიდა ქართლი: ქ. გორი; გმირების 18;
- ქვემო ქართლი: ქ. რუსთავი; ცურტაველის 5 ა.

ნაწილი 10. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა

10.1. სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მიერ 2015 წლიდან ხორციელდება სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამა.

სარეინტეგრაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომლებიც:

- ✓ საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;
- ✓ სამშობლოში დაბრუნებიდან ერთი წლის განმავლობაში მომართეს სააგენტოს „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

„საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ 2021 წლის პროგრამით საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ სამზნე ჯგუფისთვის დადგენილ პირობებს, გათვალისწინებულია შემდეგი სერვისების მიწოდება:

- სამედიცინო მომსახურება
- სოციალური პროექტების დაფინანსება
- პროფესიული განათლების ხელშეწყობა
- საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა

სამედიცინო დახმარების მიმართულება ითვალისწინებს გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის შემდეგი მხარდაჭერის გაწევას:

- ✓ ინფორმაციის მიწოდება მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების შესახებ და აღნიშნულ პროგრამებში მათ ჩასართავად დახმარების გაწევა;
- ✓ მწვავე, ქრონიკული და/ან სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირებისათვის საჭირო სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის, მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება;
- ✓ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

ერთი ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხა უნდა იყოს არანაკლებ 50 ლარისა და ჯამში არაუმეტეს 1 000 (ერთი ათასი) ლარისა. ასევე, მედიკამენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს. იმ მედიკამენტების დაფინანსება, რომლებიც ბენეფიციარს ესაჭიროება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მოხდება კვარტალურად, დაბრუნებული მიგრანტის რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში. სამედიცინო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი რეინტეგრაციის პროგრამის სამედიცინო დახმარების

ადმინისტრირების კომისია, რომლის წევრებად მოწვეულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. სამედიცინო დაფინანსების მისაღებად საჭიროა სამედიცინო დოკუმენტაციის (ფორმა №IV100/ა, ინვოისი და/ან სხვა) წარმოდგენა.

სოციალური პროექტების დაფინანსება ხელს უწყობს თვითდასაქმებას და შემოსავლის წყაროს გაჩენას ბენეფიციარის პროფესიიდან, ცოდნიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე. შესაძლოა დაფინანსდეს როგორც ერთი ბენეფიციარის, ისე რამდენიმე ბენეფიციარის გაერთიანებით წარმოდგენილი პროექტი, ასევე არსებულ ეკონომიკურ საქმიანობაში ბენეფიციარის ჩართვა/დასაქმება. დაფინანსების პირობები ასეთია:

- ერთ ბენეფიციარს პროექტი დაუფინანსდება არაუმეტეს 4000 ლარის ფარგლებში;
- მხარდაჭერა შესაძლებელია, როგორც დამწყები, ასევე მიმდინარე საქმიანობის გაძლიერების მიზნით;
- ბენეფიციართა გაერთიანების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსებისათვის მაქსიმალური თანხა განისაზღვრება კომისიის უმრავლესობის გადაწყვეტილების შესაბამისად.
- ხმათა უმრავლესობით კომისია უფლებამოსილია დაფინანსების თანხა შეუმციროს ბენეფიციარს, როდესაც ის უკვე დასაქმებულია და/ან აქვს შემოსავალი, ასევე თუ ბენეფიციარს ან მის ოჯახის წევრს აქვს მიღებული რეინტეგრაციის მიზნით რაიმე სახის გრანტი.
- პროგრამის ფარგლებში მოხდება არაუმეტეს 4000 ლარის ღირებულების ტექნიკა-დანადგარების და სხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვის დაფინანსება.
- 1000 ლარამდე ღირებულების ნივთების შესყიდვა მოხდება ვაუჩერისა და შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე, ხოლო 1000 ლარზე მეტი ღირებულების ნივთების შესყიდვა მოხდება „სახელმწიფო შესყიდვის კანონის“ შესაბამისად.
- შესყიდული ნივთების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს და თითოეული ნივთის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 250 ლარი.

ბენეფიციარების მიერ წარდგენილი პროექტების საფუძველზე, შესაძლებელია ტექნიკა-დანადგარებისა და სხვა ძირითადი საშუალების შეძენა შესაბამისი მომსახურების გაწევით. სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დააფინანსებს კონკერსში გამარჯვებული ბენეფიციარების განაცხადით მოთხოვნილი ნივთების შესყიდვას. ამასთან, პროგრამის ფარგლებში, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით.

ბენეფიციარები მიიღებენ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებით:

- სასოფლო-სამეურნეო ინიციატივები;
- თვითდასაქმებაზე ორიენტირებული არასასოფლო-სამეურნეო ინიციატივები.

პროფესიული სწავლების დაფინანსება მოხდება მხოლოდ იმ პირობების არსებობის შემთხვევებში, რომლებიც არ აძლევს საშუალებას ბენეფიციარს ისარგებლოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით “, და/ან იმ გარემოების გამო, რომ ბენეფიციარის საჭიროებიდან

გამომდინარე, უმჯობესია ამ პროგრამის მიღმა ისარგებლოს პროფესიული სწავლების შესაძლებლობით.

პროფესიული სწავლების დაფინანსებისა და დაფინანსების პირობების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი რეინტეგრაციის პროგრამის პროფესიული სწავლების ხელშეწყობის ადმინისტრირების კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მოწვეულია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი.

ერთი ბენეფიციარის პროფესიული სწავლების სრული კურსისთვის განკუთვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ამასთანავე კურსის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

რეინტეგრაციის პროგრამას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

დეტალური ინფორმაცია რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, ასევე რეგისტრაციის ფორმა, დახმარებაზე განაცხადის ფორმა და განაცხადის ადმინისტრირების პირობები და შეფასების კრიტერიუმები ხელმისწავდომია ბმულზე.

10.2. სარეინტეგრაციო დახმარების არასახელმწიფო პროგრამები

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების მხარდაჭერა ხორციელდება არა მარტო სახელმწიფო, არამედ არასახელმწიფო პროგრამების/პროექტების მეშვეობითაც.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) 2003 წლიდან დღემდე ახორციელებს მიგრანტების ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამას ევროპის 30-მდე ქვეყანასთან. პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს სთავაზობენ დოკუმენტების მოწესრიგებას და მგზავრობის ხარჯების დაფარვას, აგრეთვე პირველადი საჭირეოებებისთვის ე.წ. „ჯიბის ფულს“ (ეს თანხა ქვეყნებისა და ინდივიდუალური ქეისების მიხედვით განსხვავებულია და 25-დან 500 ევრომდე მერყეობს).

ამგვარად ნებაყოფლობით დაბრუნებული პირების ნაწილს (დაახლოებით 25%) აგრეთვე უფინანსდება დაბრუნებისშემდგომი სარეინტეგრაციო დახმარება, რაც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- აეროპორტში დახვერდა და ტრანსპორტირება დანიშნულების საბოლოო პუნქტამდე;
- დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა (საშუალოდ ერთი წლის ვადით პროექტის ბიუჯეტიდან გამომდინარე);
- პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა;
- სამედიცინო დახმარება (საზღვარგარეთიდან პაციენტების ჩამოსაყვანად ქართველი ექიმი ესკორტების დაქირავება, გადამისამართება სამედიცინო დაწესებულებებში, სახელმწიფო და კერძო კლინიკებში, კვლევის, მკურნალობისა და მედიკამენტების

ხარჯების ანაზღაურება, აეროპორტში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის დახვედრა და პაციენტის საავადმყოფოში/ბინაზე გადაყვანა);
- მცირე საშემოსავლო პროექტების დაფინანსება;
- აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა.

ცალკეული ქვეყნის მიხედვით დადგენილია კრიტერიუმები და მიგრანტთა კატეგორიები, რომლებსაც შეუძლიათ პროექტში მონაწილეობა, განსხვავებულია ასევე მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტები და დაფინანსების ოდენობა. მასპინძელი ქვეყანა ნებაყოფლობით დაბრუნების მიზნით ახდენს მიგრანტების იდენტიფიკაციას და ადგენს დახმარების პაკეტს, ეხმარება დოკუმენტების მოწესრიგებაში, სამშობლოში გამგზავრებასა და IOM-ის საქართველოს მისიასთან დაკავშირებაში, სადაც დაბრუნებული მიგრანტი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (თბილისის, თელავის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის მიგრანტთა რესურს ცენტრებში) იღებს კონკრეტული ქვეყნის პროექტით განსაზღვრულ სარეინტეგრაციო დახმარებას. იშვიათად ხდება მასპინძელი ქვეყნის პროექტით განსაზღვრული დახმარების მიმართულებების ცვლილება (პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებით).

ზემოთ აღნიშნული სარეინტეგრაციო დახმარების კომპონენტების გარდა, ხშირ შემთხვევაში თბილისის ოფისი პასუხობს გამომგზავრებამდე გამოგზავნილ კონკრეტულ შეკითხვებს პირის საჭიროებების შესახებ. ეს კითხვები ძირითადად შეეხება სამედიცინო მკურნალობის შესაძლებლობებსა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე, კოვიდ სიტუაციას, მცირე ბიზნესის წამოწყებას, განათლების, პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების საკითხებს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიგრანტთა რესურს ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია:

<table>
<tr><td colspan="2">თბილისი
თენგიზ აბულაძის ქ. # 12, 1-ლი ჩიხი
0162 თბილისი, საქართველო
(+995) 32 2252216
iomtbilisi@iom.int</td></tr>
<tr><td>თელავი
ერეკლე II-ს ქ. #8
2200 თელავი, საქართველო
ტელ.: +995 350 27 08 72
ელ-ფოსტა: mrcgeorgia@iom.int</td><td>ქუთაისი
აკაკი წერეთლის ქ. #63
4600 ქუთაისი, საქართველო
ტელ.: +995 577 21 05 60
ელ-ფოსტა: mrcgeorgia@iom.int</td></tr>
<tr><td>ფოთი
ნინოშვილის ქ. #101
4400 ფოთი, საქართველო
ტელ.: +995 493 22 58 18
ელ-ფოსტა: mrcgeorgia@iom.int</td><td>ბათუმი
ფარნავაზ მეფის ქ. # 63
6010 ბათუმი, საქართველო
ტელ.: +995 422 22 88 83
ელ-ფოსტა: mrcgeorgia@iom.int</td></tr>
</table>

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ვებგვერდი ან ვებგვერდი ინფორმირებული მიგრაციის შესახებ.

OFII (იმიგრაციისა და ინტეგრაციის ფრანგული ოფისი - საფრანგეთის რესპუბლიკის შსს-ს დაქვემდებარებული ორგანიზაცია) საქართველოში 2016 წლიდან ახორციელებს

საფრანგეთიდან ნებაყოფლობით დაბრუნებული მიგრანტებისათვის სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამას.

დატალური ინფორმაცია პროგრამაში მონაწილეობის პირობებისა და დახმარების მიმართულებებზე ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ofii.fr/en/procedure/retourner-dans-son-pays/

! *სარეინტეგრაციო დახმარების არასახელმწიფო პროგრამები ეხება სა ზღვარგარეთ კონკრეტულ ქვეყანაში მყოფ მიგრანტებს, რომლებსაც ნებაყოფლობით სურთ სამშობლოში დაბრუნება. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობის მსურველმა მიგრანტებმა საქართველოში დაბრუნებამდე უნდა მიმართონ პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციებს კონკრეტულ ქვეყანაში.*